პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონი № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 144 ოთხშაბათი, 28 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 28 ივნისი 1922 წ. № 144

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია მონარქიულ საფრთხის წინ

როგორც რადიო გადმოგვცემს, შაბათს, 24 ივნისს, ბერლინში მოუკლავთ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი რატენაუ.

მკვლელები მიიმალენ, მათი ვინაობა არ არის გამორკვეული, და ჯერჯერობით ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, ვინ და რა ნიადაგზე მოახდინა ეს ტერორისტული აქტი. მაგრამ ერთი კი ამ თავითვე ცხადია სახელდობრ ის, რომ ამ მკვლელობას პოლიტიკური სარჩული უდევს და ის მოწყობილია განსაზღვრული ჯგუფის მიერ. იმ ამბების მიხედვით, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში ამ ბოლო დროს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რატენაუს მკვლელობა ესაა საქმე მონარქიულ ორგანიზაციის. ამას მოწმობს ვირტის, ამ აქტის გამო წარმოთქმული სიტყვაც, რომელშიც კანცლერმა დაგმო მემარჯვენე პარტიების პოლიტიკა და კაბინეტის მიერ გამოშვებული მოწოდებაც, რომელშიც ნათქვამია, რომ სასტიკი ზომები იქნება მიღებული რესპუბლიკის დასაცავად.

გერმანიაში მონარქიული გადატრიალების სუნი დგას.

პირველი, ასეთი გადატრიალების ცდის შემდეგაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში გასული 1921 წლის იანვარში, შავრაზმელებს იარაღი არ დაუყრიათ და გამალებით ემზადებიან ახალი გამოსვლებისათვის. მონარქისტ-რეაქციონერებმა აშკარად წამოყვეს თავი და უკვე უშიშრად, საჯაროდ ამჟღავნებენ თავიანთ შავ ზრახვებს.

ამას წინად, კენისბერგში იქ ჩასულ გინდენბურგს რეაქციონერებმა გაუმართეს მისასალმებელი დემონსტრაცია, როგორც მონარქიულ გერმანიის სიმბოლოს. ამის გამო მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და შავრაზმელებს შორის. ასეთივე შეტაკება მოხდა აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ ცოფფენში კომუნისტურ ორგანიზაციასა და შავრაზმელებს შორის, რომელთაც მოაწყვეს მანიფესტაცია ლოზუნგებით: „ჰოგენცოლლერნების მონარქიის აღდგენა“. ბავარიის ყოფ. პრემიერმა კარრმა მიუნხენში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ „წესიერების“ აღდგენა გერმანიაში შესაძლებელია მხოლოდ მონარქიის აღდგენით. თავისი სიტყვა კარრმა დაამთავრა ასე: „გაუმარჯოს ბავარიის მეფეს რუპრეხტს“. (როგორც ცნობილია, რუპრეხტი ითვლება ბავარიის მემკვიდრე პრინცად). გერმანიის ნაციონალისტური პრესა აღფრთოვანებით მიესალმა კარრის სიტყვას. ბერლინის სოციალისტური პრესა იუწყება მონარქიულ გადატრიალების ორგანიზაციის მოწყობის ცდის შესახებ. „ფრა-ჰაიტ“ ამბობს, რომ უკვე შედგენილია შავი სიები, და რომ ყველა მინისტრები, განსაკუთრებით სამხედრო, ენერგიულად მოქმედებენ მონარქიის სასარგებლოდ.

დანციგში 1 გემის წყალში ჩაშვება საბაბი შეიქნა ფართე მონარქიულ მანიფესტაციისათვის, რომელშიაც მონაწილეობდნენ სენატის წარმომადგენლები და სადაც აღმართეს ყოფილ გერმანული იმპერიის ბაირაღები.

ასეთია ზოგიერთი იმ მრავალ ფაქტთაგანი მონარქიულ მოძრაობისა, რომელსაც ადგილი აქვს გერმანიაში.

რატენაუს მკვლელობაც, ეჭვი არ არი, ერთი ეპიზოდია იმ „მუშაობის“, რომელსაც შავრაზმელები ასე სისტემატიურად და თავხედურად ეწევიან.

რატენაუ ეს ის პიროვნებაა, რომელიც დღევანდლამდე ცდილობდა შემარიგებელ პოლიტიკის წარმოებას ანტანტასთან ვერსალის ხელშეკრულების ნიადაგზე. მეორე მხრით, იგივე რატენაუ იძულებული იყო მთელი რიგი გარემოებით ხელი მოეწერა ცნობილ რაპალოს ხელშეკრულებისათვის, რამაც დასაწყისი მისცა გერმანიის დაახლოვებას საბჭოთა რუსეთთან.

ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რამდენად სასარგებლო იყო მისი ცდა ლოიალურ დამოკიდებულების დაჭერისა საფრანგეთსა და მთელ ანტანტასთან. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს საჭიროდ მიაჩნდა მას ბურჟუაზიული გერმანიის დასაცავად. მას, როგორც მთელ დღევანდელ კაბინეტსაც ეშინოდა გაბედული მოქმედებისა ანტანტის მიმართ, იმიტომაც, რომ ეს გამოიწვევდა შინაურ მდგომარეობის უფრო გართულებას, რასაც შეიძლება მოყოლოდა კომუნისტური გადატრიალება.

ნაციონალისტები კი, რომელნიც პანგერმანული და რევანშის იდეებით სულდგმულობენ, წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი პოლიტიკის.

მეორე მხრივ, ისინი უკმაყოფილონი უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებით, რამდენადაც ეს ხელს უშლის მათ მონარქისტულ ოცნებების განხორციელებას.

მაგრამ ჩვენ ამ ჟამად არ გვაინტერესებს საკითხის ეს მხარე.

ჩვენ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მონარქისტებმა ყოველ მხრიდან წამოყვეს თავი გერმანიაში და აშკარა ბრძოლას იწყებენ სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოსახდენად. რამ გაათამამა შავრაზმელების ხროვა და რანაირია ის პირობები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს მონარქიული მოძრაობის განვითარება გერმანიაში?

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ მდგომარეობის შექმნაში უდიდესი დანაშაული მიუძღვით შემთანხმებელ სოციალისტებს, რომელნიც ბურჟუაზიასთან ერთად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვა გამგეობაში. ეს, მუშათა კლასის მოღალატე „სოციალისტები“ სრულებით არ ცდილან გაეწმინდათ გერმანიის სახელმწიფოებრივი ცხოვრება რეაქციონურ ელემენტებისაგან და მათთვის ნიადაგი გამოეცალათ. მონარქიის დამხობის შემდეგაც ხელუხლებელი დარჩნენ მისი დასაყრდენი ელემენტები. სახელმწიფოებრივი აპარატი ძველებურად შესდგება მეფის მოხელეებისაგან,-ბიუროკრატიისაგან. ასეთ მდგომარეობაშია არმია, პოლიცია და სხვა დაწესებულება ორგანიზაციები. ეს ელემენტები თავის ოცნებაში მონარქიის რესტავრაციას ატარებენ და მოხერხებულ შემთხვევას უცდიან, რათა ისევ აღმართონ იმპერიის შავი დროშა. ამასთან მონარქიულ ორგანიზაციებს მოქმედების სრულ საშუალებას აძლევენ. მთელი გერმანია მოფენილია ცნობილ „ორგეშის“ სამხედრო ორგანიზაციებით, რომელთაც გააჩნიათ ყოველი სახის იარაღი.

მეორე მხრივ, რევოლიუციონურ პროლეტარიატს ყოველგვარ საშუალებას ართმევენ თავდაცვისა და ბრძოლისათვის. მათ იარაღს ხდიან. შავრაზმელების დემონსტრაციების საპასუხოდ გამოსულ მუშების პოლიცია სასტიკად ეპყრობა და ბურჟუაზიული სასამართლო დაუზოგველად სჯის, ხოლო რეაქციონერებს აშკარა მფარველობას უწევს. და ასეთ პოლიტიკას ატარებს გერმანიის დღევანდელი მთავრობა, მენშევიკების, შეიდემანელების მონაწილეობით. ეს უკანასკნელები რაიმე გადაჭრილ ზომების მიღებაზე მძვინვარე რეაქციის წინააღმდეგ არც კი ფიქრობენ. აიღეთ თუ გინდ ის ფაქტი, რომ სოციალ დემოკრატ დეპუტატებმა უარჰყვეს სისწრაფე რეიხსტაგის კომუნისტურ ფრაქციის შეკითხვის კენისბერგის ინციდენტის განხილვის შესახებ. ცხადია, ისინი თავის მოქმედებით ხელს უწყობენ რეაქციის გაძლიერებას და გამარჯვებას გერმანიაში.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა სახეს მიიღებს ახლო მომავალში შავრაზმელების მიერ დაწყებული სამოქალაქო ომი გერმანიაში. მაგრამ თუ კიდევ დიდხანს შერჩა გერმანიას ეხლანდელი კოალიციონური ხელისუფლება, უნდა ვიფიქროთ, რომ რეაქცია უფრო გაშლის ფრთებს და ქვეყანას მონარქიულ რესტავრაციის სერიოზულ საფრთხეს განუმზადებს.

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ გერმანიის პროლეტარიატი შეიგნებს წარმომდგარ საშიშროებას და ერთიანი ფრონტით არამც თუ შესძლებს თავდაცვას, არამედ გადავა შეტევაზე ძალა უფლების ხელში ჩასაგდებად. გერმანიის პროლეტარიატი რწმუნდება, რომ ასეთი საფრთხის აცილება შესაძლებელია არა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით, რასაც მას ჩასჩიჩინებენ გამცემელი ბელადები, არამედ არსებული წყობილების დამხობით და ყველა ჯურის რეაქციონერების დაუზოგველი ალაგმვით; ის დარწმუნებულია, რომ მხოლოდ თავის, საკუთარ ძალა უფლების დამყარება მოუტანს მას განთავისუფლებას; და გმირულად იბრძვის კიდეც ამ მიზნის განსახორციელებლად. ამას მოწმობს ის სისხლის მღვრელი შეტაკებები, რომლებშიაც ჩაბმულია დღეს გერმანიის პროლეტარიატი.

მენშევიკების ერთიანი ფრონტი იმპერიალისტებთან

„ბრძოლა საქართველოსთვის ჯერ დამთავრებული არ არის—ჩვენ ომის პროცესში ვიმყოფებით და მთელი ჩვენი ენერგია ამ ბრძოლისათვის უნდა იქნეს გამოყენებული“—ასე სწერს „მთლიანი ეროვნული ფრონტის“ ერთი მონაწილეთაგანი, „გაერთიანებული ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. ჯაფარიძე, მენშევიკურ „თავისუფალ საქართველო“-ში (№ 20—14 აპრილი).

ჩვენ არ ვიცით როგორი ბრძოლის „გუნებაზე“ არიან უცხოეთში მომწყვდეული „მეომრები“ მას შემდეგ რაც მათი „შეტევა“ „გენუის ფრონტზე“, რომელზედაც ისინი ასეთ იმედებს ამყარებდნენ, სასტიკი დამარცხებით გათავდა. მაგრამ ჩვენ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების და ევროპის გაშმაგებული იმპერიალისტური რეაქციის შორის (საფრანგეთის მეთაურობით), რომელსაც მათ შეუკავშირეს თავისი ბედი, ჯერ კიდევ არ არის გათავებული. ჩვენ ისიც ვიცით, ამაზე არა ერთხელ გვითქვამს და გვიწერია, რომ საზღვარ გარეთ გაქცეული ემიგრანტები სცდილობდნენ, და ამ ცდას ხელს არ აკლებენ დღესაც, რათა იმპერიალისტები „დააინტერესონ“—მათი „ტკბილი“ სიტყვით რომ ვსთქვათ—საქართველოს საქმეებით ე. ი. მოაწყონ ინტერვენცია და ამ ინტერვენციის ტალღებზე მოსცურდნენ თბილისში. ეს გარემოება ჩვენ არ გვაკვირვებს, არც „ახალი ამბავია“ ეს ჩვენთვის.

მას შემდეგ რაც თანამედროვე ვითარებამ ორ მებრძოლ ბანაკათ გაჰყო მსოფლიო და საბჭოთა რუსეთი ჩაება ბრძოლაში ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, „დემოკრატიული“ საქართველო მისი ბურჟუაზიული პარტიების სახით, მენშევიკების მეთაურობით, ჩათრეული შეიქნა ამ ბრძოლაში ბურჟუაზიის სასარგებლოთა და სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ. ბ-ნ ჟორდანიას ცნობილი ფორმულა: მე მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო—გამოხატავდა უკვე ამ სიტყვების წარმოთქმამდე კარგი ხნის პრაქტიკულ პროგრამას და მოღვაწეობას მმართველ პარტიისას საქართველოში. ნამდვილათ ის „ნეიტრალიტეტი“, რომელზე ლათაიებით ყურები გამოუჭედეს მენშევიკებმა შინაურ და გარეულებს, იყო ერთი უუდიდესი თვალთმაქცობა, თაღლითობა და პოლიტიკური შანტაჟი. ფაქტიურათ, ამ „ნეიტრალიტეტზე“ ყვირილით, მათ სურდათ მოხერხებულათ დაემალათ თავისი საქმენი საგმირონი, საერთაშორისო რეაქციისა და მისი დახმარებით რუსეთის კონტრ რევოლიუციისადმი აქტიური მიკედლება რევოლიუციის დასაღუპავათ. თავის დროზე ჩვენ გაზეთებში გამოქვეყნებული დოკუმენტებით გამოაშკარავებული შეიქნა „მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი“, ცხადი გახდა ყველასათვის, ვინც ძალათი არ იბრმავებს თვალებს, რომ „წმინდა დავითის მთის ძირას კონტრ-რევოლიუციის მგლებს, დათვებს, მელებს და გველებს ბუნაგი ჰქონდათ მოწყობილი...“ მაგრამ თუ წინეთ მენშევიკები „ოფიციალური ტყუილებით მაინც ცდილობდენ დაემალათ თავისი კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა და ევროპის რეაქციისადმი მიკედლება, თუ ისინი ყველას გასაგონათ და დასაბრმავებლად გაჰკიოდნენ თავის „ნეიტრალობაზე“, დღეს ისინი პირდაპირ ასაბუთებენ რეაქციასთან თავის მჭიდრო კავშირის აუცილებლობას... საქართველოს „განსათავისუფლებად“. ისინი არწმუნებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რათა ისარგებლონ მათი **ძალით** (?) „უნდა იცოდეს ჩვენმა მომავალმა მეგობარმა—სწერს „თავისუფალი საქართველო“—რომ ჩვენ, გარდა საექსპლოატაციო, საეკონომიო წონისა, წარმოვადგენთ ცოცხალ ძალას, რომლის შეიარაღებული წონა და მნიშვნელობა საკმაოდ ღირსეული **დასაყრდენი იქნება...** ევროპის სახელმწიფო არ შეიძლება დღეს მივიზიდოთ მარტო პასიური შეთავაზებით, არამედ აქტიურად **ჩვენი ძალების დახმარებით საერთო ინტერესებისათვის**. მოკლედ ჩვენ უნდა დავარღვიოთ ნეიტრალობა, რომ ჩვენი კერძო ინტერესები გახდეს ჩვენი მეგობრის რეალურ და მახლობელ ინტერესათ“.

რაში მდგომარეობს იმპერიალისტების და მენშევიკების „საერთო ინტერესი“, რომლის დასაცავად ეს უკანასკნელები სთავაზობენ (ეს ახალი ამბავი არ არის!) საერთო ბურჟუაზიას „დასაყრდენობ ძალას?“ ეს არის ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და დამარცხება მშრომელთა ხელისუფლების.

ასეთი ხვეწნით მიმართავენ მენშევიკები იმპერიალისტურ მთავრობებს ევროპაში. „მაკლერებათ“ ისინი უგზავნიან მათ თავიანთ გავლენიან მეგობრებს მეორე ინტერნაციონალიდან, რათა მათ საკუთარ საქმეთ გაახადონ თავიანთ ბატონობის აღდგენა საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ კერძოთ ინგლისის წინაშე გადადგმულმა ამ ნაბიჯებმა **ვერავითარი** ნაყოფი ვერ გამოიღო. ამის დამამტკიცებელი **დოკუმენტი**, ერთი ასეთი „მაკლერის“ მიერ ხელმოწერილი ინახება სათანადო დაწესებულებაში. ამ საკითხშიაც ისევე, როგორც ბევრ სხვაში ანტანტაში შეურიგებელ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. ერთიანი ფრონტი ევროპის რეაქციის დარღვეულია ყველ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს საკითხებში რუსეთის შესახებ. ეს დიდათ სავალალოა მენშევიკებისათვის (რომლებიც ანტანტის ერთსულოვნებაზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აშენებდნენ თავის ანგარიშს), მაგრამ ისინი მაინც პირდაპირ აღიარებენ ფაქტს ფაქტათ, რადგან ამის დამალვა აღარ შეუძლიათ განსაკუთრებით გენუის კონფერენციის შემდეგ. „ძველი ანტანტა დაირღვა ფაქტიურად—სწერს „თავისუფალი საქართველო“ — ორ მის უმთავრეს მონაწილეთა—ინგლისსა და საფრანგეთს შორის **უდიდესი და ულრმესი** ინტერესთა წინააღმდეგობა აღმოჩნდა“. „პოზიცია საფრანგეთის—რომელიც მკაცრათ უარყოფითია ბოლშევიკებისადმი და პოზიცია ინგლისის—**რომელიც მზათაა იგინი იცნას**, არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და მათ შორის შემარიგებელი **ხაზი არ მოიპოვება**“. მაშ ვიღას ეყრდნობა თავის მხრით „პარიტეტული კონტრ-რევოლიუცია“ და „მთლიანი ეროვნული ფრონტის“ მოციქულები? მხოლოდ ევროპის შავი რეაქციის ბაირაღტარს საფრანგეთს, რომლის წარმომადგენელი გენუაში რამდენიმეჯერ, მაგრამ უშედეგოთ, შეეცადა დახმარებოდა მენშევიკებს იმ „დასაყრდენობი ძალის“ „საკონპენსაციოთ“, რომელსაც ეს უბადრუკი „სოციალისტები“ სთავაზობენ მთელი ცენტრალური ევროპის სულთამხუთავს და კოლონიალური ხალხების ამწიოკებელს და ამაოხრებელს.

ამნაირათ მენშევიკებმა საბოლოოდ დაუკავშირეს თავისი საქმე, ე. ი. საქართველოში თავისი ტახტის აღდგენის საქმე, იმ ძალებს, რომლებიც სცდილობენ საბჭოთა რუსეთის და მასთან მისი მოკავშირე და მეგობრული რესპუბლიკების დამონებას, მსოფლიო რევოლიუციის კერის ჩაქრობას აღმოსავლეთში. როგორც ზევითაც ვსთქვით ამაში თავის თავად ახალი არაფერია ფაქტიურათ, რადგან დღეს ისინი აგრძელებენ იმ ხაზს თავიანთ პოლიტიკისას, რომელსაც ადგენ წინათაც საქართველოში. აქ ახალია რამოდენიმეთ მხოლოდ ის, რომ მენშევიკები უკვე ოფიციალურათ ასაბუთებენ თავის ნეიტრალიტეტის დარღვევას, იმ „ნეიტრალიტეტის“, რომელიც ფაქტიურათ არასოდეს არ არსებობდა, ისინი დღეს იძულებული ხდებიან გვერდზე გადადონ პირბადე, რომელსაც ხშირათ ასე მოხერხებულათ ატარებდნენ თავიანთ გამურული კონტრ-რევოლიუციონური სახის დასამალავად.

ამ მთლიან ფრონტს შინაური და გარეშე კონტრ რევოლიუციისას ჩვენ ვუპირდაპირებთ გაერთიანებულ ძალას საბჭოთა რესპუბლიკებისა და საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატისას, რომლებიც ერთნაირათ დაინტერესებული არიან ევროპის რეაქციისა და მისი დამხმარე გამყიდველ „სოციალისტების“ განადგურებაში.

ჩვენს წინ არის ერთიანი რეაქციონური მასა ბურჟუაზიის. სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა მის წინააღმდეგ რევოლიუციის სრულ გამარჯვებამდე, მთელი ძალების მობილიზაცია ამ გამარჯვებისთვის—აი ჩვენი **დროშა!**

საქართველოს კომპარტიის პირველი კონფერენცია

შორაპნის ორგანიზაცია.

(საუბარი სამაზრო კომიტეტის მდივანთან ამხ. ქუთათელაძესთან).

სხვა მაზრების პარტიულ ორგანიზაციებთან შედარებით, შორაპნის მაზრაში არის პარტიულ მუშაკთა საკმაო დიდი რიცხვი. მხოლოდ უკანასკნელ დრომდე მუშაობა არ იდგა სათანადო დონეზე, უმთავრესად აპარატის მოუწყობლობის და ფინანსიურ საშუალებათა უქონლობის გამო.

პარტიული მუშაობა ძლიერდება.

სამაზრო კომიტეტის რაიონულ კომიტეტებთან კავშირი ერთის მხრივ და რაიონულ კომიტეტების იაჩეიკებთან მეორის მხრივ იყო სუსტი, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ეს კავშირი განმტკიცდა. სამაზრო კომიტეტის წევრები და სპეციალური ინსტრუქტორები მიდიან რაიკომებში და იაჩეიკებში და ხელმძღვანელობენ მათ მუშაობას. ამის გამო პარტიული მუშაობა გაძლიერდა და მიმდინარეობს სისტემატიურად და სათანადოდ. რეგულიარულად იმართება რაიონული კრებები და იაჩეიკების სხდომები რომლებზედაც იხილავენ მიმდინარე საერთო პოლიტიკურ და ადგილობრივ სამეურნეო ხასიათის საკითხებს.

კავშირი უპარტიო მასასთან.

უმთავრესი ყურადღება ექცევა პარტიულ და უპარტიო მასის პოლიტიკურ აღზრდას, განსაკუთრებით გლეხების, რკინის გზის მუშების და ჭიათურის მაღაროების მუშებისას. მათ შორის კომპარტიას აქვს მოპოვებული განსაკუთრებული გავლენა, მიუხედავად ამისა, მენშევიკები გაძლიერებულად მაგრამ უშედეგოდ სცდილობენ გადაიბირონ ისინი თავის მხარეზე; ასე მაგ. ამას წინად სამთამადნო მუშათა კავშირში მომხდარ არჩევნების დროს 1000 მუშათაგან მენშევიკებს მისცა ხმა მხოლოდ ორ მუშამ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა ფერხდება ლიტერატურისა და საშუალებათა უქონლობის გამო. დიდ საჭიროებას წარმოადგენს პარტიული შკოლები, მხოლოდ აღნიშნულ მიზეზთა გამო, მისი გახსნა დღემდის ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ მაზრაში ბლომად მოიპოვება მომზადებული მუშაკები, რომელთაც შეუძლიათ მეცადინეობის წარმოება.

კამპანიების ჩატარება.

ჩატარებულ კამპანიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თესვის კამპანია, რომელიც წარმატებით ჩატარდა. იმ დახმარებაზე, რომელიც თავის დროზე გაუწია საბჭოთა ხელისუფლებამ წელს სიმშილობის დროს, გლეხებმა უპასუხეს სრული ნდობის გამოცხადებით ყველა მის მიერ მიღებულ ღონისძიებისადმი.

ამ ჟამად დამუშავებულია გაცლებით მეტი მიწები, ვიდრე შარშან და მოსალოდნელია კარგი მოსავალი, რომლის მოწევას ამ დღეებში შეუდგებიან. პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოების შორის არსებობს სრული კონტაქტი მუშაობაში, კონფლიქტების შემთხვევა სრულებით არ ყოფილა.

პროფესიონალური მუშაობა.

ფროფესიონალური მუშაობა განსაკუთრებით განვითარებულია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წარმოებაში, სადაც ხდება კოლექტიური ხელშეკრულებების დადება კერძო მეპატრონეებთან. მტვირთავების ხელშეკრულება, რომლის ვადა გადიდვა, ამ დღეებში უნდა განახლდეს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თემის აღმასკომების მუშაობაზე სადაც არ არის მომზადებულ მუშაკების საკმაო რიცხვი.

საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში.

საბჭოთა აღმშენებლობის დარგში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. ადრე დამთავრდება 25 ვერსტის სიგრძის სარწყავი არხის გაყვანა.

ჭიათურაში შენდება დასაცავი ჯებირი და ხიდი მდ. ყვირილაზე. საზოგადოდ დიდი ყურადღებაა მიქცეული ხიდების შეკეთებას და ახალის გაშენებაზე, ქუჩების, გზატკეცის შეკეთებას და სხვა.

საბჭოთა აღმშენებლობის შედეგები უკვე თვალსაჩინოა რომ ყოფილიყო საკმაო საშუალებები, რათქმა უნდა, შეიძლებოდა მეტის გაკეთება, რადგანაც თვით მცხოვრებლები დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ საქმეებს და უწევენ მას ყოველგვარ დახმარებას.

ახალქალაქის ორგანიზაცია.

(დელეგატის მოხსენებიდან).

ნაციონალური შეტაკებები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ახალქალაქის მაზრის მოსახლეობა წარმოადგენს სხვა და სხვა ეროვნებათა შეჯგუფებას. თებერვლის გადატრიალების შემდეგ მაზრა ჩავარდა დაშნაკელების ხელში და დაუყოვნებლივ მათი გამეფების შემდეგ გაჩაღდა სომეხ თათრების ხოცვა-ჟლეტა. „კულაკური“ ელემენტი საზოგადოდ მხარს უჭერდა ამ ნაციონალურ ხოცვა ჟლეტას, იცავდა რა ამით თავის ინტერესებს და მთელი დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მაზრაში არ შეწყვეტილა შეჯახება ნაციონალურ შუღლის ნიადაგზე.

ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება.

საბჭოთა ხელისუფლების მოსვლას მიესალმენ ყველა ეროვნებათა ულარიბესი მცხოვრებლები, რადგანაც ეს მისვლა ნიშნავდა ქიშპობის ხოცვა ჟლეტის დასასრულს: და მართლაც დღემდე მაზრაში სრულებით არ ყოფილა რაიმე შეტაკება მოსახლეობის სხვა და სხვა ნაწილებს შორის.

მშრომელები მიდიან პარტიაში.

პირველადვე კომპარტიამ დიდი ნდობა მოიპოვა მცხოვრებთა შორის და ბევრი მიიზიდა პარტიისაკენ. მაგრამ ამ სურვილის განხორციელება არ იყო ყოველთვის შესაძლებელი, ვინაიდან პარტიაში შესვლის მსურველებს ხშირად არ ჰქონდათ სათანადო რეკომენდაცია.

ამის გამო სამაზრო კომიტეტმა დაიწყო თანამგრძნობთა იაჩეიკების დაარსება, რომლებიც სოკოებივით იზრდებოდნენ და ამ ჟამად მოიპოვება ამგვარი იაჩეიკების დიდი რიცხვი.

პარტიული მუშაობა.

სიმშილობასთან დაკავშირებით პარტიული მუშაობა ცოტათი მინელდა, მაგრამ სამაზრო კომიტეტის ზოგიერთმა განყოფილებებმა საკმაო ენერგიით განავითარეს მუშაობა.

ქალაქში არსებობს 6 კომიაჩეიკა, რომლებზედაც მიმაგრებულია პასუხისმგებელი ხელმძღვანელები. უკანასკნელ დროს შეუდგნენ პარტიულ ძალების რაიონებში გადაგზავნას, რის გამოც მათი მუშაობა გამოკეთდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მილიციას, სადაც გაგზავნილ იქნა პარტიულ მუშაკების საკმაო რიცხვი და იხლა თითქმის ყველა პასუხსაგები ადგილები კომუნისტებს უჭირავთ.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მოაწყო რამოდენიმე პარტიული სკოლები და მარქსისტული წრე უფრო მომზადებულ ამხანაგებისათვის.

ყველა განყოფილებებზე უფრო კარგად მუშაობდა ქალთა განყოფილება, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა 200 მდე ქალები. კარგად მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია. ქალთა განყოფილება მცხოვრებთა შორის ისეთი პოპულიარობით სარგებლობს, რომ თვით მამაკაცები მიმართავენ მათ ზოგიერთ შეკითხვებით.

დამოკიდებულება კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირთან

მოგვარებულია კავშირი კომუნისტურ ახალგაზრდა კავშირთან, სადაც პარტკომმა გაგზავნა ორი კარგად მომზადებული ამხანაგი, იმართება შეერთებული სხდომები სადაც ირჩევა სხვა და სხვა საკითხები.

საბჭოთა აღმშენებლობა

პროფკავშირებში მუშაობა სუსტათ მიმდინარეობს. ეს აიხსნება სათანადო მუშაკთა სიმცირით.

მიმდინარე მომენტში მთელი მუშაობა მიმართულია უმთავრესად მიწის საკითხების გადაჭრისაკენ და თემის აღმასკომის გადახალისებისაკენ, სადაც უმეტესად სხედან არა საკმაოდ მომზადებული მუშაკები. საერთოდ მუშაობა კოჭლობს საშუალებების და მუშაკთა უქონლობით. მოსამსახურეები არ არიან ჯამაგირით კმაყოფილი.

ამ დეფექტის გამოსწორება საგრძნობლად ხელს შეუწყობს მუშაობის განვითარებას.

ვალტერ რატენაუ

ერცბერგერის. შემდეგ—რატენაუ.. „დემოკრატიულ“ გერმანიას სცილდება მისი სახით ერთი, შეიძლება ითქვას, ოფიციალურათ მის სათავეში მდგომ მოღვაწეთა შორის ყველაზე უფრო ნიჭიერი და გავლენიანი, ყველაზე უფრო ძლიერი ინდივიდუალობა. იმ პოლიტიკოსთა რიცხვში, რომელთა პრაქტიკული პროგრამას ჩვეულებრივ ახასიათებენ სიტყვებით: „შესრულების პოლიტიკა“ ე. ი. პოლიტიკა ვერსალის პირობების ლოიალურათ გატარების, ის იყო უეჭველათ ყველაზე უფრო გავლენიანი, რომლისთვისაც, რასაკვირველია, უცხო არ იყო რევანშის იდეა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, მაგრამ რომელიც სწორეთ იმიტომ, რომ, როგორც ყველა ბურჟუაზიული „პატრიოტი“, გულში ატარებდა ამ იდეას, საჭიროთ სცნობდა ხელი შეეწყო გერმანიის ყოფილი ძლიერების აღდგენისათვის სხვათაშორის ყოველგვარ მოსალოდნელ „შემთხვევისათვის“ ამ ძლიერების გამოსაყენებლათ. ხოლო ამ მიზნის მისაღწევათ ის საჭიროთ სცნობდა ვერსალის ხელშეკრულების შესრულებით მშვიდობიანი საშუალება მიეცა ბურჟუაზიული გერმანიისთვის წელში გასწორებულიყო, რამდენადაც ეს საზოგადოთ მოსახერხებელი იყო ზავის მძიმე პირობებში ჩაყენებული ქვეყნისთვის. ყოველ შემთხვევაში ის სხვა გზას—მსგავსათ მონარქისტებისა ვერ ხედავდა და ამ პროგრამას ატარებდა ცხოვრებაში.

მარტო ესეც საკმაო იყო, რომ აემხედრებია თავის წინააღმდეგ მონარქიული რეაქცია, რომელსაც მასთან სხვა პოლიტიკური „ანგარიშებიც“ ქონოდა გასასწორებელი. და მართლაც მონარქისტები ვერ ივიწყებდენ იმას, რომ პოლიტიკურ მწერლობაში შედარებით უცნობმა — გამოაქვეყნა ომამდე რამდენიმე წიგნაკი მხოლოთ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ საკითხებზე—მან გამოუშვა რევოლიუციის შემდეგ, 1919 წ, წიგნი პირადათ კაიზერის წინააღმდეგ. მას ვერ მიუტევებდნენ უკიდურესი რეაქციონერები იმასაც, რომ მან ხელშეკრულება დასდო საბჭოთა რუსეთთან, რომელშიაც ისინი ხედავენ, ერთ დიდ საფრთხეს მონარქიისათვის გერმანიაში. თუ ამას მივუმატებთ იმასაც, რომ რატენაუ, როგორც ერთი სულის ჩამდგმელთაგანი ძლიერი საზოგადოების: „საყოველთაო ელექტრონის საზოგადოების“ (Allgemeine Elektricitoets—gesellschaft“), როგორც ერთი ბარონთაგანი, როგორც უწოდებდნენ მას, გერმანიის ფინანსების, იზიდავდა თავისი პიროვნების წინააღმდეგ მტრულათ განწყობილ ეკონომიურათ ძლიერი ჯგუფების რისხვას, ცხადია საერთოთ ის პირობები, რომლებშიაც მომზადდა ტერორისტული აქტი მის წინააღმდეგ.

ჩვენ სხვა ალაგას ვლაპარაკობთ ამ აქტის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და აქ არ შევჩერდებით ამ მომენტზე. ცხადია ერთი, რომ ეს ფრიად მაჩვენებელი ფაქტია, დამხასიათებელი გერმანიის დღევანდელი საზოგადოებრივ ურთიერთობასათვის, რომელიც ელსავსეა სერიოზული პოლიტიკური შესაძლებლობით.

ნ.

რადიო-დეპეშები

რატენაუს მკვლელობის გამო

მოსკოვი. 27 ივნისი. (რადიო) დიპლომატიურ კორპუსის უხუცესმა განაცხადა ვირტის თანაგრძნობა სახელმწიფოთა წარმომადგენლების სახელით. ბერლინის საელჩოებისა და მისიების ყველა შენობებში ჩამოშვებულია ნაციონალური ფლაგები.

— რატენაუს გვამის გასინჯვის დროს გამორკვეულია, რომ რამდენიმე ტყვია მოხვედრია თავში. ბომბით სხეული სრულებით დამახინჯებულია.

— რეიხსტაგის ნაშუადღევის სამგლოვიარო სხდომაზე, რომელიც გაიმართა რატენაუს ხსოვნის ასანიშნავად, ისევ წარმოიშვა არაჩვეულებრივი მქუხარე სცენები. პრეზიდენტმა ძლივს ძლივობით შესძლო დაემშვიდებია მემარცხენე ფრთა, რომელიც აღშფოთებული იყო ნაციონალისტების მიმართ. საღამოზე რეიხსტაგი მესამედ შეიკრიბა. აღელვებული ბრბო რეიხსტაგის წინ უცდიდა მთავრობის დეკლარაციას.

ვირტმა განაცხადა, რომ რატენაუს მოკვლა არის ერთი რგოლთაგანი რესპუბლიკის წინააღმდეგ წინასწარ-მოფიქრებულ თავდასხმის ჯაჭვში. პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელნიც მკვლელობის მხარეზე არიან, განზრახული აქვთ მოსპონ რესპუბლიკის წინამძღოლნი ხოლო შემდეგ თვით რესპუბლიკაც. რესპუბლიკის დასაცავად მთავრობამ მიიღო შემდეგი ზომები.

1. იმ კავშირების აკრძალვა, რომელნიც შემჩნეულნი არიან რესპუბლიკის საწინააღმდეგო მუშაობაში (ხრიკებში).

2. სახელმწიფოებრივი ტრიბუნალის დაწესება ანტირესპუბლიკანურ ხრიკების განსასჯელად, ამასთანავე ტრიბუნალის 3 წევრი ინიშნება რეიხსტაგის მიერ, ხოლო 4 ს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. 3) სამხედრო დღესასწაულების აკრძალვა.

— რატენაუს მოკვლა მეხსავით დაატყდა თავს სოციალისტურ პარტიებს—უკანასკნელმა მონარქიულმა გამოსვლებმა მოამზადეს ნიადაგი თავდასხმისათვის. გერმანიის კომპარტიამ წინდაწინ ასწონ-დასწონა მდგომარეობა და ჯერ კიდევ მკვლელობამდე მიმართა შეუმრავლესეთა სოციალისტებს დამოუკიდებლებს და პროფესიონალურ ორგანიზაციებს მოწოდებით, მონარქისტების წინააღმდეგ გაერთიანებული გამოსვლის შესახებ. შეუმრავლესეთა სოციალისტები არ გამოეხმაურენ ამ მოწოდებას. დამოუკიდებელთა სახელით კრისპინმა გერმანიის კომპარტიას ცეკას მიმართა წერილობით, ასაბუთებდა რა დამოუკიდებელთა უარს გაერთიანებულად მოქმედებაზე ვითომდა კომუნისტების მიერ ცხრათა კომისიის ჩაშლით, ესერების პროცესით, კომუნისტების სოციალისტურ მთავრობებთან დამოკიდებულებით.

— პრესის პირველი გამოხმაურება რატენაუს მოკვლის გამო, ამოწმობს გერმანიაში დიდი მღელვარების არსებობას. მემარჯვენეთა გარდა ყველა გაზეთები ერთხმად აწერენ მკვლელობას მემარჯვენეებს. მთავრობის პრესა დაჟინებით მოითხოვს უსასტიკეს ზომების მიღებას. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი“ მოაგონებს, რომ მუშათა პრესის დაჟინებითი გაფრთხილება მთავრობის მიერ უყურადღებოდ რჩებოდა, როგორც უსაქმური გამოგონება. გაზეთი „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ეხლა საკმარისი არ არის მოწოდება დემონსტრაციისადმი, გაზეთი მოითხოვს ყველა საქარხნო-საფაბრიკო საბჭოების პლენუმების შეკრებას. მემარჯვენე პრესა განცვიფრებულია რატენაუს მკვლელობისათვის, როგორც უგონო დანაშაულობისათვის მემარჯვენეთა პრესა არ კისრულობს არავითარ პასუხისმგებლობას.

ზომები თავდაცვისათვის.

ნაუენი. 27 ივნისი. (რადიო). პრეზიდენტ ებერტს ჰქონდა თათბირი კანცლერთან, იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებთან რესპუბლიკის დასაცავი ზომების შესახებ.

რედბრუხის განცხადება.

ნაუენი. 27 ივნისი. (რადიო). იუსტიციის მინისტრმა რედბრუხმა განაცხადა, რომ რეიხსტაგის მიერ მიღებულ უკიდურეს ზომებს აქვს გაფრთხილების ხასიათი რომელიც მიმართულია მემარჯვენეთა შესაძლებელი ძალადობის წინააღმდეგ.

ლოიდ ჯორჯი რატენაუს შესახებ.

ნაუენი. 27 ივნისი (რადიო). ულსის ბაპტისტების დელეგაციის მიღების დროს ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ რატენაუ ითვლებოდა ევროპის ერთ-ერთ ფრიად ნიჭიერ მინისტრად. მან ბევრი გააკეთა გერმანიისა და სხვა ერების მეგობრულ ურთიერთობის დამყარების საქმეში. შემდეგ ლოიდ ჯორჯმა გამოსთქვა უკიდურესი აღშფოთება მკვლელობის გამო და იმედი, რომ რატენაუს ტრაგიკული სიკვდილი არ მოუტანს გერმანიას დიდ დანაკლისს.

ერცბერგის სიკვდილის გამო.

ნაუენი. 27 ივნისი (რადიო). ერცბერგის მკვლელობის გამო დაპატიმრებულია აენზბურგში ლეიტენანტი კარლ ტილეზენი.

მღელვარება ბერლინში და მიუნხენში.

ნაუენი. 27 ივნისი (რადიო). კვირას და ორშაბათს ბერლინში და მიუნხენში ადგილი ჰქონდა დიდ მღელვარებას.

დაპატიმრებანი.

ნაუენი. 27 ივნისი (რადიო). პოლიცია ყოველ გვარ ზომებს ღებულობს რატენაუს მკვლელების აღმოსაჩენათ. დააპატიმრეს მრავალი პირები.

საქსონიის კაბინეტის მოთხოვნილებით დაპატიმრებულია დრეზდენში რესპუბლიკის არმიის დივიზიის ყოფილი უფროსი მერკერი, მაგრამ შემდეგ განთავისუფლეს. ფლოტის კაპიტანი აბენდროდი, რომელმაც პოტსდამის დღესასწაულზე წარმოსთქვა მონარქისტული სიტყვა—დაპატიმრებულია.

დემონსტრაცია რატენაუს პატივსაცემათ.

ნაუენი. 27 ივნისი (რადიო). მიმოსვლის მინისტრმა ნება დართო მოსამსახურეებს მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციაში, რატენაუს ხსოვნის ასანიშნავად.

შორს მიმავალი მატარებლები შეჩერებული იქნება, ხოლო ადგილობრივი მიმოსვლის მატარებლების რიცხვს შეამცირებენ.

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

ბრალდებულები იძლევიან მიკიბულ-მოკიბულ პასუხს.

მოსკოვი. 26 ივნისი (რადიო). 25 ივნისის დილის სხდომაზე იმ როლის გამოსარკვევად, რომელსაც ასრულებდნენ ბრალდებულები ესერების პარტიის სამხედრო მუშაობაში პარტიის მერვე ყრილობის შემდეგ, როდესაც მიღებული იყო რეზოლიუცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა შეიარაღებულ ბრძოლის შესახებ, ჩვენებებს ართმევენ ბრალდებულებს იურკოვ დობროლიუბოვს, ლიბეროვს, არტემიევს, მოროზოვს და დანსკოის. ყველა ბრალდებულები იძლევიან მიკიბულ-მოკიბულ პასუხს და ლაპარაკობენ მხოლოდ პარტიის საერთო მუშაობის და ცეკას მუშაობის შესახებ, ხოლო თავიანთი მონაწილეობის შესახებ არას ამბობენ ან და კმაყოფილდებიან სრულიად უმნიშვნელო ფრაზებით. ბრალდებული ლიბეროვი ეხება რა ჩეხო სლოვაკების მიერ სამარას დაკავებას, ლაპარაკობს „უჩრედილკის“ მოწოდების შესახებ, სადაც აღნიშნულია საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების აუცილებლობა სამარაში და იქ „ნამდვილი მთავრობის“ შედგენა. მიმართვაში გამოთქმულია მოწოდება ახალი მთავრობისათვის მხარის დაჭერისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან დაწყებულ შეიარაღებულ საფრონტო ბრძოლის გაგრძელების შესახებ. ამავე სახით აწარმოებდა აგიტაციას მოსკოვის ორგანიზაციაც.

კავშირი უცხო კაპიტალთან.

ბრალდებულების დაკითხვის შემდეგ ტრიბუნალი გადადის მოწმეების დაკითხვაზე. პირველად დაკითხეს რენე მარშან, რომელიც მაშინ მსახურებდა მოსკოვში საფრანგეთის გენერალურ საელჩოში და მიელინებულ იქნა ნულანსთან, მარშანი ამბობს, რომ საფრანგეთის საელჩოს მთელი მუშაობა იყო მიმართული განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებისაკენ, რისთვისაც საკონსულო აწარმოებდა მოლაპარაკებას ყველა პოლიტიკურ ჯგუფებთან უკიდურეს მემარჯვენეებიდან დაწყებული ვიდრე ესერებამდე. მენშევიკებთან ურთიერთობა ჰქონდა შარლ დიუმს, ესერებთან კი გრაფ დე-შევილის. მოწმე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ გრაფ შევილის ურთიერთობა ჰქონდა ტიმოფეევთან, დონსკოისთან და მინორთან. მათ შორის ხდებოდა რეგულიარული მოლაპარაკება, რომელზედაც ირჩეოდა სხვა და სხვა საკითხები, სხვათა შორის, ფილონენკოს ორგანიზაციისა და თავიანთი ხალხის წითელ არმიაში შეყვანის შესახებ.

ფრანგების მხრივ სამხედრო მუშაობას ხელმძღვანელობდა კაპიტანი ლორო, რომელიც წავიდა მოსკოვიდან, არალეგალურად დაბრუნდა უკან და თუმცა არ ირიცხებოდა მისიის სიებში, მაგრამ საიდუმლოდ, მისიის ხელმძღვანელთა დახმარებით იღებდა მონაწილეობას ფარულ თათბირებში ესერებთან.

შეეხო რა მომავალ ხელისუფლებას, რომელიც ფრანგებს რუსეთის სათავეში უნდოდათ ჩაეყენებიათ, მარშანი ამბობს, რომ ნულანსი აშკარად სცდილობდა აღედგინა მოსკოვში მონარქია. ის ზიზღით უცქეროდა ესერებს არ უნდოდა მათ ხელში გადასულიყო ხელის უფლება და გადასწყვიტა გამოეყენებინა ისინი, როგორც იარაღი ბოლშევიკების ჩამოგდებისათვის. ახასიათებს რა ნულანსის დამოკიდებულებას ესერებთან, მარშანს მოყავს ღირსშესანიშნავი ფაქტი: რომელიც თათბირის შემდეგ ნულანსმა გამოსვლისას შემოკლებული ხმით სთქვა: „იმათ უნდოდათ პოლიტიკური პირობების წამოყენება. ისინი კი არა, ჩვენ ვართ აქ ბატონ-პატრონები, იმათ უნდა აღასრულონ ჩვენი მოთხოვნილებანი?

ნულანსი და სავინკოვი.

საინტერესო მომენტი მარშანის ჩვენებაში იყო, მისი მოთხრობა ნულანსის სავინკოვთან მოლაპარაკების შესახებ. სავინკოვი, ჩამოვიდა რა მოსკოვში, საფრანგეთის საელჩოში არ გამოცხადდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა შუამავლების საშუალებით. სავინკოვმა სთხოვა ნულანსს სესხი თავისი ორგანიზაციებისათვის, ხოლო ნულანსმა კატეგორიული უარი განაცხადა ფულის მიცემის, იმ მომენტამდე, სანამ სავინკოვი არ იპოვიდა ისეთ ხალხს, რომელთაც ქონდათ ბრძოლის უნარი. სავინკოვმა სთხოვა გადაედო თავისი ორგანიზაციების აქტიური გამოსვლები საკავშირო დესანტის გადმოსხმამდე. ნულანსი, პირიქით მოითხოვდა ჯერ შიგნივ გამოსვლას, რომლის შემდეგ აღუთქვა საკავშირო დესანტის გადმოსხმა. ნულანსისათვის ეს იყო აუცილებელი იმისათვის, რომ ხელში ჰქონოდა ფაქტები საფრანგეთის მთავრობისათვის წარსადგენად. სავინკოვმა შემდეგ წინადადება მისცა ნულანსს ამოერჩია აჯანყების ორგანიზაციის ადგილი, კალუშსა და იაროსლავლის შორის. მოწამე ამტკიცებს, რომ ნულანსს და სავინკოვს არ სჯეროდათ იაროსლავის აჯანყების წარმატებით დამთავრება. ეს იყო გამოწვეული იმიტომ, რომ სავინკოვს ესაჭიროებოდა ფული, რომელსაც დაჰპირდა ნულანსი, ხოლო უკანასკნელისათვის ეს აჯანყება საჭირო იყო ევროპის კულისებში თამაშისათვის. საფრანგეთის მისია, იმისათვის, რომ აეგულიანებიათ ესერები და სხვა პოლიტიკური ჯგუფები უგონო მოქმედებისათვის, ავრცელებდნენ განზრახ გამოგონილ ცნობებს, იაპონელების დესანტის, საფრანგეთის ჯარების მოსვლის შესახებ და სხვ.

სიცრუის კამპანია რეგულიარულად სწარმოებდა და შემოღებული იყო, როგორც სისტემა. მოწამე ერთხელ მოვლინებული იყო საელჩოში მოსკოვში მყოფ ამერიკის ელჩთან სათათბიროდ, იქ მარშალმა დაინახა ფრანგი ოფიცრები, რომელნიც უნდა წასულიყვნენ მოსკოვიდან... (დასასრული არ არის მიღებული) და რომლებიც დარჩენ მოსკოვში არა ლეგალურად ამერიკის მოქალაქეთა პასპორტებით უკვე იმის შემდეგ, როცა საფრანგეთის მისიამ ოფიცალურად დაამოწმა რომ საფრანგეთის არც ერთი ოფიცერი არ დარჩენილა მოსკოვში.

შეთქმულების გეგმა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

მოსკოვის თათბირზე იყო გადაწყვეტილი პეტროგრადის აღება, ბლოკადის საშუალებით. ამ მიზნით ააფეთქეს მდინარეზე ხიდი (დამახინჯებულია).

მოსკოვის და პეტროგრადის შუა დამოკიდებულების გაწყვეტა.

ამავე დროს საფრანგეთის მინისტრ პიშონისაგან მიღებულია დეპეშა ამგვარი შინაარსის: „კლემანსოს მონარქიული წესწყობილება მიაჩნია რუსეთისათვის ეროად ერთ შესაფერ წესწყობილებათ“.

მარშანი ახასიათებს საფრანგეთის მისიის აქტიურ მუშაკებს დიუმას და სხვებს, როგორც „შკურნიკებს“, როგორც ისეთ ხალხს, რომლებიც იკეთებდნენ კარიერას, ერთხელ ერმენმა, მისიის წევრმა მის თვალწინ მიიღო კასიდან 50,000 მანეთი ესერებისათვის გადასაცემათ. მარშანი ლაპარაკობს ჩერნოვთან მოლაპარაკებაზე, მომავალი მთავრობის შედგენის შესახებ. საელჩოში ლაპარაკობდნენ, რომ ჩერნოვი თანახმაა კაბინეტი მოეწყოს იმ პირობით, თუ მისი თავმჯდომარე იქნება ესერი. საფრანგეთის მისიის წევრი გრენარი მოითხოვდა მთავრობაში ადგილი ქონოდა სხვა პარტიებსაც, მათ შორის მონარქისტებსაც. მოწმეს ტიმოფეევი და დონსკოი პირადათ არ უნახავს, მაგრამ მათი სახელი მისიაში მუდამ ისმოდა.

მარშანი ამტკიცებს, რომ ნულანსი პირდაპირ თამაშობდა და მოითხოვდა საფრანგეთის მთავრობისაგან დაუყონებელ დესანტს. რომ გაემართლებია თავისი პოლიტიკა ნულანსისათვის აუცილებელი საჭირო იყო რუსეთში მასიურ აჯანყების მოწყობა. აქ მიზნით ის მოითხოვდა სავინკოვისაგან ორგანიზაციის დაუყოვნებელ მოწყობას.

ეხება რა იმ ხელისშემშლელ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთის მისია მოსკოვში, მარშახი მიუთითებს საკონსულოს იმ სხდომაზე, რომელზედაც ხელისშემშლელი მუშაობის ხელმძღვანელი ბერლემონი მოუთხრობდა მის მიერ მოწყობილ ცდაზე, რომ აეფეთქებია ხიდი ჩერეპოვეცის ახლოს. ბერლემონი უკმაყოფილო იყო რუს რკინის გზელებისა, რომლებიც თანახმა იყვნენ აეფეთქებიათ მხოლოდ სამხედრო მასალით დატვირთული მატარებელი.

მოწმეების ჩვენება.

სადაბოს სხდომაზე მოწმე კანდელაკი ეხება ესერების პარტიის დამოკიდებულებას მოკავშირეებთან. ერთ თათბირზე თავმჯდომარედ იყო დონსკოი, მომხსენებლად (დამახინჯ.). უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ინტერვენცია წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ბოლშევიკებისაგან განსათავისუფლებლად. ესერები ამტკიცებდნენ, რომ ინტერვენციაში არაფერი ანტისოციალისტური არ არის. ამ თვალსაზრისს იცავდა დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრი სემიონოვი.

ხელმეორედ იქმნა მოსმენილი მოწმე ვერხოვსკის ჩვენება. „აღორძინების კავშირის“ შტაბის მუშაობისა და ფრანგებისაგან ფულის მიღების შესახებ. ვერხოვსკის გაგონილი ჰქონდა გენერალ სუვოროვის შტაბის წევრებისგან (დამახინჯ.) 1918 წ. ვერხოვსკი მოწვეულ იქმნა პეტლიურის მიერ, უკრაინის ჯარის შექმნის შესახებ საკითხზე მოსალაპარაკებლად. ვერხოვსკიმ მუშაობაზე უარი განაცხადა როდესაც გაიგო, რომ პეტლიურა მოქმედობს გერმანელებთან ერთად, რომლებმაც ოკუპაცია უყვეს უკრაინას. კიევში ვერხოვსკი შეხვდებოდა ხოლმე ესერების პარტიის უკრაინის წარმომადგენელს, ალბად რიხტერს, რომლიდახაც გაიგო, რომ სწარმოებს მოლაპარაკება პეტლიურასთან, რომელიც მარცხით დამთავრდა.

„აღორძინების კავშირის“ საშუალებათა წყაროებზე შესახებ ნამდვილ ჩვენებას იძლევა ბრალდებული იგნატიევი.

ის ამტკიცებს რომ ყველა შემთხვევებში გარდა ერთისა, მან დანამდვილებით იცის რომ ფულს ისინი მიიღებენ მოკავშირეებისაგან. იგნატიევის და ზოგჯერ გენერალ სუვოროვის საშუალებით სწარმოებდა მოლაპარაკება გრაფ შეველიესთან, მნიშვნელოვან თანხის 200.000 მანეთის გაცემის შესახებ, რომელიც საჭირო იყო კავშირის სამხედრო ორგანიზაციისათვის. ცოტა ხნის შემდეგ, მოსკოვიდან, სადაც იყო მოკავშირეთა თეთრგვარდიელების მუშაობის ცენტრი, მიღებულ იქნება საბუთი ამ ფულის გასაცემად. ფული იხარჯებოდა კავშირის სამხედრო საჭიროებისათვის. ამ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძლეოდა პოსტნიკოვს სამხედრო მუშაობისათვის, ფულის ნაწილი იგნატიევმა მიიღო პირადად ინგლისის გენერალ გერცისაგან.

გოცის განცხადება

გოცი კატეგორიულათ აცხადებს, რომ არავითარი მთლიანი სამხედრო ორგანიზაცია შტაბის სახით ესერებს არ ჰქონიათ. და რომ თავის პარტიულ ხარჯებისათვის ბურჟუაზიულ წყაროებიდან ისინი დახმარებას არ იღებდნენ. გოცი ამბობს, რომ მართალია ისინი ღებდენ ფულებს „აღორძინების კავშირიდან“, მაგრამ მხოლოდ ოფიცრების გადასაგზავნათ მომავალი არმიისათვის. გოცი ამტკიცებს რომ „აღორძინების კავშირი“ უცხო ფულებით არ სარგებლობდა და რომ ამ უკანასკნელს ის იღებდა რუსეთის კოოპერატივებისა და რუსეთის ბურჟუაზიულ წრეებიდან.

მსხვილი თანხის დაკარგვის საკითხი

იგნატიევის და გოცის ჩვენებიდან ირკვევა მსხვილი თანხის დაკარგვის საკითხი, რომელიც უნდა მიეღო იგნატიევს საფრანგეთის მისიისაგან. გოცი და პირდა იგნატიევს მოსკოვში მოსვლისთანავე გამოერკვია (გამოშვებულია)... კიდევ უფრო საოცარი განმარტებები დაკარგული ფულის შესახებ...

დაკარგულ ფულების ისტორიას ფარდას ხდის მეორე ჯგუფის ბრალდებული ეფიმოვი, რომელიც იტყობინება, რომ 1918 წ. ივლისში მას გადასცეს დიდძალი ფული სუვოროვის და იგნატიევის მისაცემად. ეფიმოვს არ უძებნია ისინი, არამედ შევიდა „დელო ნაროდას“ რედაქციაში და გადასცა ფულები ივანოვს თხოვნით, რომ გადაეცა ის დანიშნულებისამებრ.

სასამართლო ეკითხება დაცვის მოწმეს სვეტნიცკის, რომელსაც კარგათ არ ახსოვს, თუ რა ხდებოდა 1918 წელში და იძლევა ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს და არა პირდაპირ პასუხს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მისგან წინად მოცემულ ჩვენებებს.

სხდომის დას. ტრიბ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მას მოუვიდა განცხადება 22 ბრალდებულისაგან მათთვის დაცვის უარყოფის შესახებ. ამა თან ერთად შემოვიდა ტრიბუნალში ამავე ჯგუფის დამცველების წერილობითი განცხადება. ტრიბუნალმა განიხილა რა განცხადებები, დაადგინა: დამცველები განთავისუფლებულ იქნას და მასალების ამის შესახებ გადაეცეს სახალხო იუსტიციის კომისარიატს.

არჩევნები თბილისის საბჭოში

მაიდანის მუშებში

მაიდანის მუშებისაგან (ამბლემისაგან) არჩეულ იქნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში:

1) ათაბეკოვი (კომუნისტი)
2) გასან—საბრი (,,)
3) ხაშიმ—აშიამ (,,)
4) მირზა-რიზა ზადე(,,)

კანდიდატებად:

1) ისმაილ ზეინალ-ზადე (ახ. კომ.)
2) ნადი-ბედირ-ოღლი (უპარტიო)
3) სამედ-ისად-ოღლი (უპარტიო).

2 რაიონის სამკერვალო სახელოსნოებში.

2 რაიონის სამკერვალო სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 75 კაცი, თბილისის საბჭოში ერთხმად აირჩია შემდეგი წევრები:

1) ტერუნოვი—მუშ. კომუნ.
2) ქორიძე—მუშა ქალი კომუნისტ.
3) გველესიანი მუშა უპარტიო.

საავადმყოფოებში

მთავარ საავადმყოფოს ფსიქიატრიულ 2 და 3 ქალაქის საავადმყოფოების მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელზედაც დაესწრო 200 კაცი, ერთხმად აირჩია საბჭოში: კუჭიძე, თარხანოვი და ფრანგულიანცი.

ჩუღურეთის რაიონში

ჩუღურეთის რაიონის საალმშენებლო კავშირის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ა. წ. 25 ივნისს, ქალაქის საბჭოში არჩეულ იქნენ.

1) ოკუჯავა ნინა—კომუნისტი.
2) სარუხანოვი არსენა—კომუნ.
3) მალეევი მიხეილ—კომუნისტი.

თბილისის სამაზრო კომისარიატში

ქ. თბილისის და მისი მაზრის სამაზრო სამხედრო კომისარიატის და 2 ბატარეის წითელ-არმიელთა საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 298 კაცი, ქალაქის საბჭოში არჩეულ იქნენ

1) კობიძე—ინტ. კომუნისტი.
2) თობიძე—„ „
3) გველესიანი,, კომ.

იუსტიციის სახ. კომისარიატში

იუსტიციის სახ. კომისარიატის დამსჯელი რაზმის, სადარაჯო რაზმის წითელ-არმიელთა და პოლიტიკურ კურსების სკოლის კურსელების საერთო კრებაზე ქალაქის საბჭოში არჩეულ იქნენ:

1) ბერიძე ვლადიმერ—კომუნისტი.
2) გიორგაძე კალენიკე—კომუნისტი.
3) მილანოვი—კომუნისტი.
4) იაშვილი—უპარტ. წითელ არმიელი.

დასახიჩრებულ მეომართა კავშირში

დასახიჩრებულ მეომართა კავშირის საერთო კრებაზე ქალაქის საბჭოში არჩეულ იქნენ დიდი ხმის უმეტესობით:

1) მუსაელიანი—თანამგრძნობი კომუნისტი.
2) მელაძე—კომუნისტი.
3) როსტომაშვილი (საბჭოს კანდიდატად უპარტიო).

მეპურეები, მეხორცეები და სხვ.

მეპურეების, მეხორცეების და სხვების საერთოდ კრებაზე ქალაქის საბჭოში არჩეულ იქნენ:

1) თეიმურ ალიევი—კომუნისტი,
2) ალექპერ იუსუფოვი—კომუნისტი.

მუშათა მთლ. კოოპერ. და სხვ. მუშა-მოსამსახურეებში.

მუშათა მთლიან კოოპერატივის, სასურსათო სახ. კომისარიატის ცენტრო საწყობის, სასურსათო კომისარიატის სატრანსპორტო ეზოს, სამაზრო და საზღვაო კომისარიატის, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის, მეტყევეების საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 400 კაცი, ერთხმად არჩეულ იქნენ ქალაქის საბჭოში:

1) ერქომაიშვილი.
2) გორდელაძე ლევანი,
3) ერისთავი.
4) ძაგანია მიშა,
5) ლეპკა,
6) სუხიშვილი,
7) ბარამოვიჩი,
8) კვირკველია ვალოდია.

ბუხარინი მე-2 ჯგუფის ბრალდებულთა შესახებ.

მეორე ჯგუფის დამცველების სახელით ბუხარინი ლაპარაკობს: „პირველად წავიდენ საზღვარ-გარეთელი დამცველები, რომლებიც თავის თავს უწოდებდენ სოციალისტებს, ეხლა კი მიდიან ცენზიანი დამცველები, თავისებური კოალიცია, რომელშიაც შედიან უცხოეთის სოციალისტური და ბურჟუაზიულ-ცენზიანი დამცველები.

ბრალდებულების პირველი ჯგუფი შეგნებულად ცდილობს თავიდან აიცდინოს სინამდვილის გამოაშკარავება, როდესაც პროცესი უახლოვდება ფაქტებს, რომლებიც განსაკუთრებით სახელს უტეხს ბრალდებულებს“. ბრალდებულთა მეორე ჯგუფის სახელით ბუხარინი სთხოვს ტრიბუნალს დაცულ იქნეს ჭეშმარიტების გამოკვლევის შემდეგი შესაძლებლობა და არ დაუშვან პროცესის ჩაშლა, რომლისაკენაც შეგნებულად მიისწრაფის ბრალდებულთა პირველი ჯგუფი.

ბუხარინის საპასუხოთ გამოვიდენ ბრალდებულები ტიმოფეევი და გენდელმანი. ისინი აღნიშნავდენ, რომ სასამართლოდან ისინი არ წავლენ და დარჩებიან პროცესზე ბოლომდი.

ამხ. ტროცკი ესერების პროცესის შესახებ

მოსკოვი. 25 ივნისს (რადიო). გაზეთ „პრავდა“-ში დაბეჭდილია ამხ. ტროცკის წერილი, შემდეგი სათაურით: „ილიუზია და სინამდვილე“, რომელშიაც ნათქვამია: „დაქვრივებულ კადეტებს, იგივე მენშევიკებს და ესერებს ეგონათ, რომ 20 ივნისის დემონსტრაციის შემდეგ დადგა მომენტი როდესაც მათი აზრით შესაძლებელი იყო ტრიბუნალისათვის უნდობლობის გამოცხადება. თუ კი მრავალ რიცხოვანი პროლეტარული რაზმები დემონსტრაციით უცხადებდენ ნდობას ტრიბუნალს, განა შეუძლია მას ისარგებლოს იმ მექანონეთა ნდობით, რომელთა უფლებრივი შეგნება კარგა ხანია გულგამოჭმულია აბით როდესაც თავმჯდომარე სენატორები სხდომის შეწყვეტის დროს გარბოდენ შთაგონებისათვის შჩეგლოვიტოვთან და ხვოსტოვთან, ვექილები არა თუ ვერ ბედავდენ უნდობლობის გამოცხადებას, არამედ კრაშენი კოვების ყოველ შემოძახებაზე ხრიდენ პუპიტრაზე ლამაზად გადავარცხნილ თავებს მორჩილების ნიშნად.

ხოლო როდესაც პროლეტარულმა ტრიბუნალმა მოედანზე მთელი ქვეყნიერების წინაშე პიატაკოვის მტკიცე და ღირსეულ სიტყვებით აღუთქვა პროლეტარიატს მიუდგომლობა, მაშინ აღშფოთებას მიეცენ იურისტების ყველა მამამთავრები.

რამდენი დეკორატივობა მოსჩანს მათ სულიერ უბადრუკობაში. ჯერ მთელი ბურჟუაზიულ შემახებელი აგიტაცია პროცესის გარშემო მსოფლიო მასშტაბით გამოდიოდა იქიდან, რომ ესერებს ასამართლებს ხალხისაგან მოწყვეტილი კომუნისტური ოლიგარხია. „ჩვენ არ ვცნობთ უმაღლეს ტრიბუნალს“ განაცხადეს პირველი სიტყვების შემდეგ ბრალდებულებმა, ვინაიდან ეს არის პარტიის და არა ხალხის სასამართლო. და ვექილები თანხმობის ნიშნად ძირს ხრიან გადავარცხნილ თავებს. და აი ტრიბუნალისაკენ გაემართა თვით ხალხი, არა ის, რომელიც ემსახურება იურიდიულ დემაგოგიის ფრაზებს არამედ ნამდვილი ხალხი, ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარები. როდესაც ისინი გამოვიდენ იმის სათქმელად, რომ ეს სასამართლო არის მათი სასამართლო, რომ რევოლიუციის კეთილდღეობა არის მათი კეთილდღეობა და რომ რესპუბლიკის კანონი არის უმაღლესი კანონი, ბრალდებულთა და დამცველთა ესერების და კადეტების ბლოკმა განაცხადა: „ჩვენ მოვითხოვთ სასამართლოს შეცვლას“. პირველი რაც ასე თვალსაჩინოდ გამოაშკარავა დემონსტრაციამ—ეს არის ღრმა, კლასიური ორგანიული მტრობა მენშევიკების და ესერების ინტელიგენციისა მშრომელ კლასისადმი, მტრობა, რომელიც იმალება ლამაზ სიტყვებში რომელიც მუდამ ქანაობს შიშსა და სიძულვილის შორის. ამ საფუძველზე ესერების პარტია, რომლის მიზანს შეადგენს მიანდოს ისტორიის ხელმძღვანელობა ინტელიგენციის წრეებს, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებას, რომელიც იბრძვის ტერორის საშუალებით, რომელიც მთლიანად დამყარებულია რევოლიუციონურ ძალისადმი უნდობლობაზე და რომელიც ამგვარად სცდილობს, გადიბიროს მასსა ბომბისტების გმირობით. (გამოტოვებულია). ბუნებას განათლებულ და ნახევრად განათლებულ წვრილ ბურჟუებისას, რომელნიც თავის-თავზე ზომავენ ისტორიას, თავისი საზომით ზომავენ მასსას, და მაშასადამე, ისინი მზად არიან თავმდაბალი თანაგრძნობა გამოუცხადონ პროლეტარიატს. იმ აუცილებელ პირობით, რომ მან არ შეუშალოს ხელი გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოდ, საბჭოთა ხელისუფლება გაუსწორდა ყველა ამ ინტელიგენტურ ბირჟის ძმა-ბიჭებს. ისინი ამტკიცებენ, რომ ოქტომბრის დღეებში მუშათა მასსა ეჭვს გარეშეა, იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ და რომ ბოლშევიკებმა ტერორის საშუალებით აიძულეს მუშათა მასსა, მიმხრობოდენ ბოლშევიკებს. რა არის ესერებისათვის მასსა? რა თქმა უნდა, უფორმო თიხა რომლისაგანაც შესაძლებელია, რაც სურთ ის გააკეთონ. წაიკითხეთ ესერ-კადეტების პრესსა, თქვენ ნახავთ იმის ანარეკლს, რაც ჩვენ არა ერთხელ გავიგონეთ სასამართლოს დარბაზში, თითქოს ბალშევიკებმა აიძულეს ტერორით გლეხები და პროლეტარიატის მილიონები, დემონსტრაცია მოეწყოთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. როდესაც მილიონი მუშები დ გლეხები ცავდენ საბჭ. რესპუბლიკას ესერებისაგან და ბურჟუაზიულ მტრებისაგან, როდესაც ათიათასობით ისინი ეცემიან ბრძოლის ველზე, როდესაც ქვეყნის ცენტრში მშრომელი მცხოვრებლები გახვეულნი არიან სიმშილის საშინელებაში, ითმენს და იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, ეს ხდება ბოლშევიკების შიშის გამო. რა არის მუშათა კლასი დემოკრატიის ყოყოჩა „დამცველების“ თვალში: ბნელი მასსა, რომელსაც საითაც გინდა იქით წაიყვან და მეტი არაფერ.

ასეთია მათი შეფასება პროლეტარიატისა.

„თქვენ სტყუით ბატონებო“, სთქვეს პეტროგრადის და მოსკოვის მშრომელებმა 20 ივნისს. „ჩვენ აქა ვართ, ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის გადატრიალება, ჩვენ ვიბრძოდით ფრონტებზე თქვენსა და თქვენ ბატონების წინააღმდეგ. ჩვენ და ჩვენმა შვილებმა გადავიტანეთ ტანჯვა წვალება, რომელიც თქვენ ჩვენ მოგვაყენეთ.

ეს ქვეყანა ჩვენი ქვეყანაა, ის ჩვენ ჩვენთვის დავიპყრეთ: სასამართლო—არის ჩვენი სასამართლო, ის ჩვენ შევქმენით, ხოლო თქვენ—ჩვენი მტრები ხართ და სასამართლო თქვენ გაგასამართლებს და დაგსჯის.

ამით 20 ივნისის დემონსტრაციამ საბოლოოდ დაანახვა მთელი სინამდვილე ყოყოჩა ვაჟბატონებს, რომლებიც თავს ილიუზიებით იკვებავდნენ და ფიქრობდნენ, რომ სოფიზმებით შესაძლებელია ფაქტების უარყოფა და რომ ვანდერველდეს შემოჭრილი ქილეტი გამოდგება არგუმენტათ. მაგრამ ვანდერველდე მოვიდა და წავიდა, ხოლო პროლეტარიატი დარჩა. ამ პროლეტარიატმა მოაწყო სახელმწიფო, ის სახელმწიფო, რომელმაც ისინი დასვა ბრალდებულის სკამზე. ისინი ფიქრობდნენ მოეხდინათ ანგარიში პატრონის გარეშე, რაზედაც წერა-კითხვის უკოდინარის მაგივრად ხელი მოაწერეს.

მაგრამ „პატრონი“ ძლიერ მტკიცეა. მან მოაგონა თავისი თავი 20 ივნისს და უთხრა მათ: „ნუ გადაუხდით; არ იყო საჭირო ნულანსისადმი დაქირავება, არ იყო საჭირო იუნკრების აჯანყება, არ იყო საჭირო ვოლოდარსკის და ურიცკის სიკვდილი. თუ ქურდობის ჩამდენს პასუხსაც აგებინებენ. პროლეტარიატს ეხლა არ სცალიან სიცილისათვის. ბრალდება ლაპარაკობს ამაყი პროლეტარიატის სახელით, რომ ბრალდებულები საფუძლიანად სხედან სკამზე და იძლევიან პასუხს, ხოლო ლიბერალური ვექილები ადვილად მოსმენიან თავიათ რეგისტრში იმავე ნოტებს, რომლითაც ისინი უპასუხებდნენ მეფის კრაშენინნიკოვებს: გისმენთ!

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია.

„ფორვერტსი“ ხელახალი არჩევნების მომხრეა.

ნაუენი. 26 ივნისი. (რადიო). გაზ. „ფორვერტსში“ დაბეჭდილი იყო წერილი, სადაც ნათქვამია რომ გერმანიაში ახალი არჩევნების მოხდენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელი ხდება, ვინაიდან რესპუბლიკის დაწესებულებათ მოელის საფრთხე... (გამოტოვებულია) რომელნიც შეიძლება მიყვანილ იქნან შიმშილის ნიადაგზე აჯანყებამდე.

გინდენბურგი.

ნაუენი. 26 ივნისი (რადიო). შაბათს, პორტსდამში ჩავიდა ფელდმარშილი გინდენბურგი, სამხედრო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ჩეხო-სლოვაკია.

არევ-დარევა პრაგის სეიმში.

ბერლინი. 26 ივნისი (რადიო). სეიმის სხდომაზე უკრაინელმა დეპუტატმა უარი განაცხადა ტრიბუნიდან ჩამოსვლაზე, როცა მისი სიტყვის დრო გათავდა. ჩაერიენ სეიმის დარაჯები. გერმანიის ნაციონალისტებმა გაილაშქრეს სეიმის და დარაჯების წინააღმდეგ. 13 კაცი დაჭრილია და წაყვანილია გოსპიტალში. არეულობაში მონაწილე დეპუტატები დათხოვნილი არიან სეიმიდან.

ინგლისი

შანცერის ლონდონში წასვლის გამო.

კრაუდენი, 26 ივნისი (რადიო) გაზ. „სიუნდეი ტაიმსი“ აცხადებს, რომ შანცერი მშვიდობიანობის ძველისძველი მომხრეა. ვაშინგტონში მისი დახმარება განიარაღებისა და ბულფართან და ლოიდ ჯორჯთან თანამშრომლობის საკითხში იყო ერთი მიზეზთაგანი ინგლისის და იტალიის მსოფლმხედველობის ზეიმისა. შანცერი განიხილავს საკითხს ახლო აღმოსავლეთის, ხმელთა შუა ზღვის და მცირე აზიის შესახებ როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

იტალია

აგრარული რეფორმა.

რომი, 26 ივნისი (რადიო). რომის პარლამენტში დაიწყო იტალიაში მიწის საკითხის გაუმჯობესებისათვის მთელი რიგ რეფორმების შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. ექსპერტებად მონაწილეობის მიღებისათვის მიწვეული არიან რამდენიმე ცნობილი აგრარიები.

იტალია და რუსეთი.

ნაუენი, 26 ივნისი (რადიო). „კორიერე დელლა სერრას“ სიტყვებით საბჭოთა მთავრობის მიერ იტალია-რუსეთის ხელშეკრულების არ დამტკიცება არ ახდენს თავის გავლენას 6 დეკემბრის შეთანხმებაზე, რომელიც ძალაში რჩება.

კვლავ დამცველები.

ბერლინი, 26 ივნისი (რადიო). ევროპის სოციალისტებს განზრახული აქვთ მიმართონ საბჭოთა მთავრობას თხოვნით არ მიუსაჯონ ესერებს სიკვდილით დასჯა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალციხის მაზრა. თემის აღმასკომების თავმჯდომარეების ყრილობა. თემებსა და რაიონებს შორის კავშირის გასამაგრებლად და თემების ინსტრუქციებთან გასაცნობად, სამაზრო აღმასკომის მიერ მოწვეულია აღმასკომების თავმჯდომარეების ყრილობა.

დღის წესრიგში დგას სამაზრო აღმასკომის ინფორმაციული მოხსენება ყველა განყოფილებების მუშაობის შესახებ და თემების აღმასკომების ანგარიშები. ყრილობაზე ჩამოვიდნენ ყველა თემების წარმომადგენლები, ყველაზე უფრო მწვავედ სდგას მიწისა და ფინანსიური საკითხები.

გლეხების დახმარება დამშეულებს. აწყურის რაიონში კომპარტიის რაიონული კომიტეტის ინიციატივით თვით მცხოვრებლებმა გადაასწყვიტეს დახმარება გაუწიონ რაიონში მყოფ დამშეულებს. შემოწირულების აკრეფის შედეგებმა, რომელიც პარტკომის მიერ იყო მოწყობილი, დაეკმაყოფილებია 75 პროც. გაჭირვებულებისა, სულ თემში ნებაყოფლობით შეკრებილია 440 ფუთი ხორბალი, რომლიდანაც ერთ სოფელ არკოსში შეკრებილია—180 ფუთი, ტყემალაში—66 ფუთი, საკუნტში—41 ფუთი, ზიკილიაში—55 ფუთი და სხვა.

ზოგიერთ სოფლებში დახმარებას უწევენ სესხის სახით ახალი მოსავლის მოწევამდე. ამ გვარ ზომებს უფრო გაჭირვებული სოფლები აწარმოებენ, რომლებიც აწვდიან გაჭირვებულებს დახმარებას შეძლების და გვარად. ამდაგვარივე თვითდახმარების ზომებს ატარებენ პარტიის სამაზრო კომიტეტები ყველა დანარჩენ რაიონებში.

ბათომის ნავთსადგურში. 19 ივნისს სტამბოლიდან ჩამოვიდა იტალიის ფლაგით გემი „ადრია“ 700 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 51 მგზავრით, ანატოლიის ნაპირებიდან შავი ზღვით ოსმალეთის ფლაგით ჩამოვიდა 5 ფელიუგა 220 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით. 20 ივნისს სტამბოლიდან ჩამოვიდა იტალიის ფლაგით გემი „კონსტანტინეპოლი“ 23.166 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და 28 მგზავრით. როსტოვიდან ჩამოვიდა გემი „პერეკოპ“ რ. ს. ფ. საბჭოთა რესპუბლიკის ფლაგით 31 ფუთი ტვირთით და 52 მგზავრით. ანატოლიის ნაპირებიდან ჩამოვიდა ოსმალეთის ფლაგით 6 ფელიუგა 220 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და 1 მოტორი საბჭოთა აფხაზეთის ფლაგით 193 ფუთი ზეთით და 1 მგზავრით. 19 ივნისს გემები არ გასულა. 20 ივნისს სტამბოლში გავიდა ინგლისის ფლაგით გემი „ედვინ“ ცარიელი. მარსელში გავიდა გემი „ლედი ელეონორ“ ინგლისის ფლაგის ქვეშ 1.643 ტონი ნავთის პროდუქტებით. ფეოდოსიაში გავიდა რ. ს. ფ. ს. რ. ფლაგით გემი „ვოზროჟდენიე“ 100 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და 25 მგზავრით.

გავიდა ფოთში 3 მოტორი რ. ს. ფ. ს. რ. ფლაგით 680 ფუთი ფქვილით და სხვა ტვირთით. ანატოლიის ნაპირებისაკენ გაემგზავრა 5 ფელიუგა 1.530 ფუთი ნავთით.

აზერბაიჯანი.

ნავთის ფრონტზე. 17 ივნისს ყველა ადგილებში ამოღებულია 496,000 ფუთი. აღებულია გადასაქაჩავად 335 ათასი ფუთი. მიღებულია დაქაჩვის შემდეგ 351 ათასი ფუთი. გატანილია რკინის გზით 15 და 16 ივნისის განმავლობაში 103 ათასი ფუთი. ბაქოდან გატანილია ასტრახანში გადაუმუშავებელი ნავთ-პროდუქტები — 549.983 ფუთი, ნავთი—176.497 ფუთი. პეტროვსკიდან გატანილია ასტრახანში გროზნოს ნავთი 88.843 ფუთი. 18 ივნისს გატანილია ბაქოდან ასტრახანში გადაუმუშავებელი ნავთის პროდუქტები—646.621 ფუთი. ნავთი—54.844 ფუთი, ზეთი—56.775 ფ. პეტროვსკიდან ასტრახანში გატანილია გროზნოს ნავთი 265.089 ფუთი. 18 ივნისს გატანილია ბაქოდან ასტრახანში გადაუმუშავებელი ნავთის პროდუქტები—598.532 ფუთი. პეტროვსკიდან გატანილია ასტრახანში გროზნოს ნავთი—79.459 ფუთი. მიღებულია შემდეგი დეპეშა: ასტრახანში მცირე რაოდენობის ნავთის პროდუქტების გამო, რეიდში მამოძრავებელი მანქანების გაუქმების და წყლის დაკლების გამო, გთხოვთ გაძლიერებული ზომების მიღებას, რათა მოზიდული იქმნეს რეიდში მომატებული რაოდენობა ნავთის პროდუქტებისა, განსაკუთრებით მაზუთისა და სამანქანო ზეთისა.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ აყვანილ იქმნეს თავის ხარჯზე 15 ივნისიდან რესპუბლიკის წითელარმიელების ოჯახები, შემოკლებულ იქმნეს სახალხო განათლების კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლების რიცხვი, რომლებიც გაძლიერებულ ულუფას ღებულობენ.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საგეგმო კომისიამ განიხილოს საკითხი სახალხო მიწადმოქმედების კომისარიატის სამეურნეო ხარჯთ-აღრიცხვაზე გადასვლის შესახებ. მიეცეს გზატკეცილების სამმართველოს 2.000 მ. ოქროთი გზების შესაკეთებლად, რომელიც საჭიროა სასურსათო გადასახადის გადასატანათ. დამტკიცებულ იქმნეს პროექტი სახალხო ვაჭრობა-რეწველობის ეკონომიურ წარმომადგენლობაზე ა) მოსკოვში, განყოფილებებით პეტროგრადში, ნიჟნი-ნოვგოროდში და როსტოვში, ბ) ოდესაში, განყოფილებებით ხარკოვში და კიევში, გ) ტაშკენტში, განყოფილებებით კრასნოვოდსკი, დ) თბილისში, განყოფილებით ბათომში, ე) და ცალკე წარმომადგენლობა სპარსეთში და კონსტანტინოპოლში.

ბაქოს ბაზრობა. მწარმოებლები იჩენენ დიდ ინტერესს ბაზრობის მოწყობაში. ბაზრობის კომიტეტში მოდის განცხადებები ადგილის დათმობის შესახებ. უცხოეთის წარმომადგენლები ბაქოში აგრეთვე დაინტერესებული არიან ბაზრობით. შვეიცარიის საკონსულო შეეკითხა კომიტეტს ბაზრობის შესახებ, და დაპირდა დაეხმაროს, რათა უცხოეთის საქონელი იქმნეს ჩათრეული ბაზრობაში.

სომხეთი.

სასურსათო გადასახადის კომპანია. ცნობები სასურსათო გადასახადის კამპანიის ჩატარების შესახებ ერევნის გუბერნიაში. ერევნის მაზრაში მოწყობილია სამაზრო და საუბნო სასურსათო გადასახადის კომისიები; უკანასკნელები დაბლა-ახტინის და კამარლინის უბნებში. მისაღები საწყობების მოსაწყობათ დანიშნულია პუნქტები: ერევანში, კანაკირში, ახტაში და კამარლოში. საჩქარო ზომებია მიღებული ჭურჭლის ხელსაწყოების და მისაღები საწყობების გასამზადებლად. სასურსათო გადასახადის მუშაკების მუდმივი შტატი უკვე შედგენილია და ადგილებზე მობილიზაციით გაწვეული პარტიული ამხანაგების დახმარებით უკვე გატარებულია მუშაობა გადამხდელების სიის შესადგენად. მოსავალს მოელიან საშუალოზედ მაღალს. ზოგიერთ ალაგას დაწყებულია ქერისა და პურის აღება. ეჩმიაძინის მაზრაში მოწყობილია სასურსათო გადასახადის კომისიები. ინსტრუქტორების შტატები შედგენილია. მოწყობილია მისაღები საწყობები ეჩმიაძინში, აშტარაკში და კურდუკულში; შეუდგენ ჭურჭლების დამზადებას. მოსავალს მოელიან საშუალოზედ მეტს, თუმცა ზოგიერთ უბნებში—სამაგანის, ზანგიბასარის და აშტარაკის—გვალვებია. ნოვობაიაზეთის მაზრაში მოწყობილია სამაზრო და საუბნო კომისიები. დანიშნულია რწმუნებულები და გადასახადის ინსტრუქტორები, რომლებიც ამ ჟამად ირკვევენ სასურსათო გადასახადის სიებს. მისაღები საწყობები დამზადებულია ნოვობაიაზეთში, ელენოვკაში და კარანლუგში. უკანასკნელი დროის წვიმებმა გადაარჩინა მოსავალი გვალვისაგან. მოსავლის პირი გამოირკვევა ივლისში. ალექსანდროპოლის მაზრაში მოწყობილია სასურსათო გადასახადის კომისიები, რომლებიც შეუდგენ სასურსათო სიების შედგენას. საერთოდ კარგ მოსავალს მოელიან. კარაკლისის მაზრაში მოწყობილია სამაზრო და საუბნო კომისიები.

შეუდგენ მისაღები საწყობების გაღებას. კარაკლისში, ამამლში და ნალბანდში სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა პარტკონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა სასურსათო გადასახადის დეკრეტი და მიცემულ იქნა ინსტრუქციები. შეუდგენ სიების განხილვას. მოსავალი, კარაკლისის მაზრის გამონაკლისით, კარგია. ლორის მაზრაში მისაღები პუნქტები დანიშნულია დჟალალ-ოგლში და უზუნლიარში. სიების შედგენა დამთავრდება 1 ივლისისათვის. მოსავალს კარგს მოელიან, გარდა სოფ. ურა და აიდარბეკი, სადაც სეტყვით მოსპობილია ნათესები. იდჟევანის მაზრაში შედგენილია ინსტრუქტორების შტატი; სიების შედგენა დამთავრდება 29 ივნისს. მისაღები საწყობები მომზადებულია ხუთივე საუბნო ცენტრებში. სასურსათო გადასახადის ასაკრეფი მუშაობა ზანგეზურის და დერალეგესის მაზრებში და მეგრიგინის უბანში მიმდინარეობს აუჩქარებლად, რადგანაც ამ პუნქტებში ცუდ მოსავალს მოელიან, ნათესების გვალვისა და კალიისაგან დაზარალების გამო.

შეუდგენ სახალხო სასურსათო კომისარიატის სავაჭრო განყოფილების რეორგანიზაციას, მისი გაფართოების გამო. ამ მიზნით სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ სავაჭრო განყოფილებისთვის შეძენილია საზღვარ-გარეთ დიდი პარტია საქონლისა.

ქრონიკა

◆ **სამხრეთ ოსეთის რუქა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა სამხრეთ ოსეთის რუქა, რომლის შეძენაც შეიძლება ამავე კომისარიატში, ცალი 50.000 (ორმოცდა ათი ათასი) მანეთად.

◆ **ავტომობილებით მიმოსვლა.** ამ დღეებში შესდგა სატრანსპორტო საავტომობილო ამხანაგობა „გზა“. მიმოსვლა სწარმოებს თფილისიდან ვლადიკავკავამდე, და აგრეთვე ყველა მახლობელ სააგარაკო ადგილებში. ფასები ერთობ ხელმისაწვდომია. კანტორა იმყოფება ოლღას ქუჩაზე № 6 „გზა“.

◆ **ხომალდი.** გამოვიდა და იყიდება სალიტერატურო-სახელოვნო ჟურნალ „ხომალდის“ მესამე ნომერი. ჟურნალში მონაწილეობენ: აბაშელი ს., ვარდოშვილი ხარიტონ, იახამანი, ობოლი მუშა, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია და სხვა.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა პოეტ იასამანის ლექსთა პირველი ტომი—გამოცემა „ხომალდის“, წიგნი ღირს 60 ათასი მანეთი.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

თამბაქოს ტრესტის მოღვაწეობა.

თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაცია.

ამას წინად ჩვენ გაზეთის ნომრებში მოყვანილი იყო ცნობები თამბაქოს ტრესტის ფაბრიკის შრომის ნაყოფიერების შესახებ მაისის განმავლობაში, თამბაქოს პლანტაციების, საქართველოს გარეთ თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაციისათვის განყოფილებების გახსნის შესახებ და სხვა.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ცნობები იმის შესახებ სად და როგორი რაოდენობით იქნა განაღდებული თამბაქოს ტრესტის ნაწარმოები.

თამბაქო გაყიდულ იქნა მაისის განმავლობაში სულ 99.131 გირვანქა, რომლიდანაც 34.728 გირვანქა (ანუ 35 პროც.) განაღდებული იქნა ადგილობრივ ბაზარზე; 46.476 გირი (ანუ 46,8 პროც.) მიეცა საქართველოს სხვა და სხვა დაწესებულებებს; 17.900 გ. (ანუ 18,1 პროც.) სხვა და სხვა დაწესებულებებს საქართველოს გარეთ; და 92 გირვანქა (ანუ 0,1 პროც.) მიეცა უფასოდ სხვა და სხვა დაწესებულებათ.

წარმოება და განაღდება თამბაქოს ხარისხების მიხედვის ნაწილდება ამგვარად:

	დამზადებული	განაღდებული
№ 110 ყოფ. სეილან. ფაბრიკა	16935	19550
III ხარისხი: „მირ“	9970	14100
სახალხო „კომეტა“	9490	109000
II ხარისხი: „მირ“	8620	—
I ხარ. № 52 საფაროვის	8485	9610
II ხარ. № 108 საფაროვის	4015	9743
№ 52 სეილანოვის	3325	3020
III ხარისხი: ბოზარჯიანცის	2500	1000
III ხარისხი: ენფიანჯიანცის	1620	1008
III ხარისხი: № 110 საფაროვის	1300	2100
შირაქ კომეტა	885	5500
უმაღ. ხარის. № 19 საფაროვის	800	804
II ხარ. ბოზარჯიანცის	500	1040
II ხარ. ენფიანჯიანცის	10	2840
რჩეული II ხარ. „მირ“	—	1030
შირაქ ენფიაჯიანცის	—	5100
I ხარ. № 108 საფაროვის	—	1990
კეფ. კომეტა	—	740
სახალხო II ხარ. „სლონ“	—	840
სლავა უმაღ. ხარ.	—	545
სულ	68455	99191

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მაისში განაღდებულ თამბაქოს რაოდენობა საგრძნობლად სჭარბობს იმავე ხნის განმავლობაში თამბაქოს წარმოების რაოდენობას. როგორც ჩანს გადიდება განაღდების მოხდა ძველი დამზადებულ მარაგის ანგარიშზე.

ნათესების მდგომარეობა ჩვენში

(ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებიდან).

რაჭის მაზრაში:

1—15 აპრილამდე ნათესები იყვნენ შემდეგ მდგომარეობაში:

შემოდგომის ნათესები

1. პური	საშუალო	(3,4)
2. ქერი	საშუალოზე კარგი	(3,8)

გაზაფხულის ნათესები.

1. სიმინდი	საშუალოზე კარგი	(4,1)
2. პური	საშუალო	(3,2)
3. ქერი	საშუალოზე კარგი	(3,5)
4. ფეცვი	საშუალოზე კარგი	(3,7)
1. ლობიო	საშუალოზე კარგი	4,2)
2. კარტოფილი	საშუალოზე კარგი	(4,4)

15—30 აპრილამდე.

შემოდგომის ნათესები.

1. პური	საშუალოზე კარგი	(3,7)
2. ქერი	საშუალოზე კარგი	(3,8)

გაზაფხულის ნათესები.

1. სიმინდი	საშუალოზე კარგი	(3,6)
2. პური	საშუალო	(3,3)
3. ქერი	საშუალო	(3,2)
4. ფეტვი	საშუალო	(3,7)
1. ლობიო	საშუალოზე კარგი	(3,7)
2. კარტოფილი	საშუალოზე კარგი	(4,3)

1—15 მაისამდე.

შემოდგომის ნათესი.

1. პური	საშუალოზე კარგი	
2. ქერი	საშუალოზე კარგი	

გაზაფხულის ნათესი.

1. სიმინდი	საშუალოზე კარგი	(3,8)
2. პური	საშუალოზე კარგი	(3,7)
3. ქერი	საშუალოზე კარგი	(3,6)
4. ფეტვი	საშუალოზე კარგი	(3,8)
1. ლობიო	საშუალოზე კარგი	(4)
2. კარტოფილი	საშუალოზე კარგი	(4)

გორის მაზრა.

1—15 ივნისისათვის.

შემოდგომის ნათესი.

1. პური	საშუალოზე კარგი	(4)
2. ქერი	საუკეთესო	(4,5)
3. ჭვავი	საშუალო	(3,3)

გაზაფხულის ნათესი.

1. სიმინდი	საშუალოზე კარგი	(3,5)
2. პური	საშუალო	(3,3)
3. ქერი	საშუალო	(3,4)
4. ჭვავი	საშუალოზე კარგი	(4,4)
5. ფეტვი	საშუალოზე კარგი	(3,7)
6. შვრია	საშუალოზე კარგი	(4)
1. ლობიო	საშუალო	(3,2)
2. კარტოფილი	საშუალო	(3,4)
სხვა ბოსტნეული	საშუალო	(3,4)

ახალციხის მაზრა:

15 ივნისისათვის.

ცნობები მოვიდა მხოლოდ 3 თემიდან (ვარხანის, ურაველის, კლდის) ხსენებულ თემებში მოსავლის პირი დაქვეითდა, ნათესები წაახდინა სეტყვამ, უკანასკნელები გვალვამ, ყველა კულტურებს საგრძნობი ზიანი მიაყენა.

ახალქალაქის მაზრა.

15 ივნისისათვის.

შემოდგომის ნათესი.

1. პური	საშუალოზე მდარე	(2)
2. ჭვავი	საშუალო	(2,5)

გაზაფხულის ნათესი.

1. სიმინდი	ცუდი	(1)
2. პური	საშუალო	(2,9)
3. ქერი	საშუალო	(2,8)
4. ქართოფილი	ცუდი	(2,1)

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, მოსავლის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, ნათესებს ხელი შეუშალა ჯერ ყინვამ მერე რთვილმა, ქარმა და სეტყვამ.

თიანეთის მაზრა.

შემოდგომის ნათესი.

1. პური	საშუალო	(3)
2. ქერი	საშუალოზე მდარე	(1,8)

გაზაფხულის ნათესი.

1. პური	საშუალო	(3,2)
2. ქერი	საშუალოზე მდარე	(1,9)
3. ფეტვი	საშუალო	(3,3)
4. ლობიო	საშუალოზე კარგი	(3,8)
5 ქართოფილი	საშუალო	(3,4)

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

მიწადმოწყობის შესახებ.

მიწადმოწყობის კანონების ცხოვრებაში გასატარებლად მიწადმოქმედების კომისარიატმა დააგზავნა მაზრებში 77 ტეხნიკი ცნობები მათი მუშაობის მსვლელობის შესახებ ჯერჯერობით არ მოსულა.

ბრძოლა „კულაკებთან“.

მიწადმოწყობის მუშაობის ერთ მთავარ საგანს შეადგენს ბრძოლა „კულაკებთან“, რომელიც საჭირო გახდა გლეხების ერთი ნაწილის მიერ მიწების დატაცების გამო. ბრძოლის საშუალებით ამ შემთხვევაში მიჩნეულია მიწათ მფლობელობის ნორმის დაწესება. ამ მიზნით რესპუბლიკის მთელი ტერიტორია გაყოფილია 5 რაიონად და ყველა მიწები, რომლებიც უნდა განაწილდეს 4 კატეგორიათ.

საძოვარი ადგილები.

საძოვარი ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული ყოველგვარ შესაძლებელ დავისა და საკითხების გადასაჭრელად და აგრეთვე საიჯარო გადასახადის მისაღებად, მიწადმოქმედების კომისარიატის საძოვარ ადგილების განყოფილებამ დააგზავნა ადგილებზე ამისთვის სპეციალური მუშაკები. ამ მხრივ მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული აღმოსავლეთ საქართველოს (ახალციხე, ახალქალაქი და თბილისის მაზრების ნაწილი), სადაც იმყოფება უმეტესად რესპუბლიკის საძოვარი ადგილები.

თივის მოსავალი.

ბალახის და თივის მოსავალი წელს უფრო ნაკლებია ვიდრე გასულ წელს, რაც აიხსნება წვიმის თავის დროზე მოუსვლელობით.

ამ ბოლო დროს მოსული წვიმები იმედს იძლევა, რომ ბალახების მდგომარეობა გაუმჯობესდება.

წარმოებათა პროფკავშირებში

ცენტრალურ დამზღვევ კასაში.

ფულის ოპერაციები. მატერიალურ და საექიმო-სამედიცინო დახმარების ცენტრალურ დამზღვევ კასის ფულის ოპერაციები მაისის თვის განმავლობაში. გამოიხატა შემდეგ ციფრებში. საერთო შემოსავალი იყო 1.613.602.478 მან., აქედან მაისში შემოვიდა 1.417 366,000 მან., ხოლო 193.236.478 მანეთი შეადგენდა ნაშთს პირველი მაისისათვის. დახარჯულია კასის მიერ მაისის განმავლობაში 1.350.560.000 მანეთი. აქედან ავადმყოფთა შეწევნას მოხმარდა 320.321.500 მანეთი, კასის მონაწილე, ქალთა საბებიოდ 45.778.000 მან., კასის მონაწილეთა ცოლების საბებიოდ 43.593.500 მან., მონაწილეთა დასამარხავად 49.050.000 მან., მონაწილეთა ოჯახის წევრთა დასამარხავად 27.425.000 მან., პენსიები დასახიჩრებულთა, ინვალიდების, ქვრივ ობლებისათვის 48.361.000 მან., პირადი შემადგენლობის შესანახად 92.995.500 მანეთი, სამეურნეო ხარჯები 19.139.500 მან., პროვინციის განყოფილებებს 149.200.000 მან., ჯანმრთელობის კომისარიატს დაზღვეულთა სამკურნალოდ 533.576.000 მან., ულარიბეს მცხოვრებთა სახელმწიფო დახმარება 14.700.000 მან., შრომის სახ. კომისარიატს 6.020.000 მან. და ავანსები 400.000 მანეთი.

ნაშთი პირველ ივნისისათვის გამოიხატა 263.042.578 მანეთში.

სიღნაღის სამაზრო პროფბიუროში.

შესდგა საექიმო-სასანიტარო შრომის კავშირის სამაზრო კონფერენცია, რომელშიდაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამაზრო პროფ ბიუროს წევრები. მოხდა სამაზრო განყოფილებებში კავშირების ყველა სექციების რეორგანიზაცია, საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოს ორგანიზაციულ განყოფილების დებულების თანახმად. ხდებოდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, სადაც ირჩეოდა წმინდა მატერიალური ხასიათის სასწრაფო საკითხები. სიღნაღში, გურჯაანში, ველისციხეში და ლაგოდეხში სწარმოებს კავშირის წევრების რეგისტრაცია; ამ ჟამად გატარებულია რეგისტრაციაში 1740 წევრი. სამაზრო პროფ-ბიურო ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, მოშორებულია ცენტრიდან, ხოლო მისთვის დათმობილი შენობა მუშათა სასახლეში უჭირავს სამხედრო საზღვაო კომისარიატს. სამაზრო პროფბიურო აერთიანებს 7 კავშირებს: 1) მეთამბაქოების, 2) მეტყავეების, 3) ხელოვნების მუშაკების, 4) სახალხო კავშირის, 5) საექიმო-სასანიტარო შრომის, 6) კომუნალურ მეურნეობის მუშაკების, სადაც მელითონეებიც შედიან და 7) საბჭოთა მუშაკების.

პროვინციაში

ქ. ხონი.

პარასკევს, ამა წლის 16 ივნისს საღამოს 5 საათზე ხონში ჩამოვიდა მოხსენების გასაკეთებლად კომპარტიის ცეკას წარმომადგენელი ამხ. **ბესო კვირკველია.** მაგრამ, რადგანაც ხონის მცხოვრებთა უმეტესობას გაგებული არ ქონდა ამხ. კვირკველიას ჩამოსვლა, ამიტომ მოხსენებაზე დასასწრებლად მოვიდა მცხოვრებთა მცირე ნაწილი, რის გამო მოხსენება გადადებულ იქნა. ამხ. კვირკველია დაგვპირდა, რომ ჩამოვიდოდა კვირას, 18 ივნისს და გააკეთებდა მოხსენებას მიტინგზე. და ეს ასეც მოხდა. კვირას მოწვეულ იქნა ფართო მიტინგი, რომელიც გახსნა 12 საათზე რაიპარტკომის პას. მგ. მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. კვირკველიამ, რომელმაც ნათლად დაასურათა თანამედროვე მდგომარეობა, ვრცლად შეეხო გენუის და ჰააგის კონფერენციებს და აგრეთვე რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას და სხვ.

მიტინგი სასურველად ჩატარდა და მოხსენებამ დიდი სარგებლობა მოუტანა მშრომელ მასსას გათვითცნობიერების საქმეში.

გან—კონი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29.

საქართველოს სოც საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი—სატარიფო საბჭოს შესახებ.

1. მოეწყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან, შრომის სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით, სატარიფო საბჭოს შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სამი წარმომადგენლისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის თითო წარმომადგენლისაგან.

2. სატარიფო საბჭოს სხდომებზე, გარდა ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული მუდმივი წევრებისა, მიწვეულ უნდა იქნენ, სათათბირო ხმის უფლებით, წარმომადგენელნი იმ დაწესებულებისა, წარმოებისა ან მეურნეობისა და პროფესიონალური კავშირისა, რომელსაც განსახილველი საგანი შეეხება.

3. სატარიფო საბჭოს კომპეტენციაში შედის:

ა) დაწესება სატარიფო განაკვეთის მინიმუმისა, სატარიფო ზოლებისა და მთლად რესპუბლიკისათვის სავალდებულო სატარიფო ქსელის კატეგორიების შორის მინიმალური შეფარდებისა.

ბ) გადათვალიერება ყოველთვიურად სამუშაო სასყიდლის რაოდენობისა იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებას განიცდის ფასების ნუსხა საკვები პროდუქტებისა და მოხმარების საგნების შედგენილობისა.

გ) განხილვა თანამშრომელთა სამუშაო სასყიდლის ცვლილების შესახებ სახალხო კომისართა საბჭოში შესატანათ წინადადებათა იმ სახელმწიფო დაწესებულებისა, წარმოებისა და მეურნეობის მიერ, რომელიც მოხსნილ არ არის სახელმწიფო მომარაგებისაგან.

4. ამა დადგენილების მესამე მუხლის „ა“ პუნქტში მოხსენებული დადგენილება სატარიფო საბჭოსი, შრომის სახალხო კომისარიატის წარდგენით, დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

5. მეთვალყურეობა სატარიფო საბჭოს დადგენილებათა ასრულებისათვის, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულისა, ისე თავისი კომპეტენციის ფარგლებში თვით საბჭოს მიერ გამოცემულისა, დაევალება შრომის სახალხო კომისარიატს.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივნისის 26.

თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 6.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ამა 1922 წ. ივნისის 6-ს დადგენილებით დამტკიცებულია უზენაესი ტრიბუნალის კოლეგიის შემდეგი შემადგენლობა: **პარკაძე გუცა, ბოლქვაძე ივანე, ამირაგოვი ლევანი და მიროტაძე ლევანი.**

აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალის კოლეგიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. **გ. ჩხეიძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივნისის 24.

ტფილისი-სასახლე.

ბრძანება № 368.

განათლების სახალხო კომისარიატისა 1922 წ. 21 ივნ.

ხშირად ჩამოდიან ტფილისში განათლების სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა მოხელენი და მოსამსახურენი, მასწავლებლები და სხ. თავიანთ უფროსთა ბრძანებით და მოვლინებით, ან კერძო თავის საქმეზედ და განათლების კომისარიატს სთხოვენ ჩამოსავლელი და წასასვლელი გზის ხარჯებისა და ულუფის ღირებულების ანაზღაურებას, რაც ყოვლად დაუშვებელია და შეუწყნარებელია და ათას გვარ მიწერ მოწერას და უსიამოვნებას იწვევს.

ყოველ ამის ასაცილებლად ეცნობებათ განათლების კომისარიატის ყველა ქვემდებარე დაწესებულებათ, თანამდებობის პირთა და მოხელეთ, რომ არავის არა აქვს უფლება განათლების კომისარიატის დაუკითხავად და ნებადაურთველად წარადგინონ ესა თუ ის მოსამსახურე რაიმე მინდობილობით, თუ ვისიმე წარვლენა და წარგზავნა საჭიროებამ და საქმის ვითარებამ გამოიწვია, მაშინ იმის გზისა და ულუფის ხარჯი თვით იმ დაწესებულებამ უნდა იკისროს, რომლისაგან არის იგი წარდგენილი, და რომ განათლების სახალხო კომისარიატი არავის არ აუნაზღაურებს გზისა და ულუფის ხარჯს, ვინც უნდა იყოს და რა საქმეზედ და მონდობილობითაც უნდა გამოიგზავნოს ტფილისში, იმ განსაკუთრებულ შემთხვევითა გარდა, როდესაც თანამდებობის პირი ანუ მოხელე დაბარებულია საგანგებოდ განათლების კომისარიატისაგან და იმის ბრძანებით არის ტფილისში წამოსული.

დედანს ხელს აწერენ:
განათლების სახალხო კომისარიატის მოადგილე **ორახელაშვილი.**
ადმინისტრატიულ სამეურნეო მმართველობის გამგე **ე. მამულაიშვილი.**
საქმეთა მმართველი **ალ. მიქაბერიძე**

სარედაქციო კოლეგია

სოფიო დავითის ასული და ლუკა იაკობის ძე ბრეგვაძე, მარიამ დავითის ასული და შოთა დადიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობებს გარდაცვალებას საყვარელ მამის და სიმამრის

დავით მიხეილის ძე მაჭავარიანისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ყოფილ სამხედრო ტაძარში. გამოსვენება ტაძრიდან ვერის სასაფლაოზე ოთხშაბათს, 28 ივნისს, საღამოს 5 საათზე 2—2

გაუბედურებული დედ-მამა გრიგოლ და პელაგია, ძმა აპოლონ, დები თეოდორა და მარია დუმბაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 24 ივნისს ღამის 2 საათზე, მძიმე და ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლავრენტი (ნეოფიტე) დუმბაძე

გასვენება მოხდება ბინიდან (გორის ქ. № 10 დიდუბე) 27 ივნისს საღამოს 7 საათზე სადგურზე და შემდეგ სოფ. ზომლეთში (ოზურგეთის მაზ.) დასაფლავება პარასკევს 30 ივნისს 2 საათზე.

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულ 4 აპრილს 1922 წ. მაშადი ნაზარ ზეინალ ოღლისა, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, დარჩენილ ქონებაზე.
სახალხო მოსამართლე: **კობიაშვილი.**

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის [illegible] ასაცილებლად, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა იღებს ხელ მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისის და ბათუმის** ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი—ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოესპობათ გაზეთების გზავ 1 ივლისიდან.

0—

დაიკარგა

სარეგისტრაციო ფურცელი № 250 | 87 გ. მჭედლოვის სახელზე ჩა თვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 818 არჩილ დავითაიას სახელ მიღებული ონტოფას რევკომისაგან ჩაითვალოს გაუქმებულათ.

გ. ტაბიძეს

ჟურნალ „ლომისის“ რედაქტორს კვლავ იწვევენ გაზეთის ტრესტ კანტორაში ანგარიშის გასასწორებლად. 0—1

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 13

უმუშევრობა და ბრძოლა მასთან

იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც მუშათა მასების მილიონები ჩამოცილებული იყვნენ წარმოებას, დედაკაცის შრომა ყველგან, როგორც ჩვენში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოთ იყო გამოყენებული და ამჟამადაც ევროპაში მუშა ქალების რიცხვი 15 მილიონით აღემატება მუშა-მამაკაცების რიცხვს.

ხოლო 1918 წ. რუსეთში ომის შემდეგ მომხდარი აღწერა გვიჩვენებს, რომ მუშა ქალები შეადგენენ ყველა მუშების 50 პროც. ს, მაშინ როდესაც 1913 წელში ისინი შეადგენდენ მხოლოდ 31 პროც.-ს.

მუშა-ქალების რიცხობრივად გაზრდის გარდა, შეიცვალა ქალის შრომის თვისებრივი ხასიათიც. მუშა-ქალები ჩაებენ წარმოების ისეთ დარგებში, რომელიც წინად მათთვის მიუწდომელი იყო.

მუშა-ქალი, ამგვარად გახდა მუშა-მამაკაცთან თანასწორი მწარმოებელი, მან მოიპოვა დიდი დამოუკიდებლობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის ოჯახურ ურთიერთობისათვის და საზოგადოების შეხედულებათათვის ქალზე; ეს იყო ქალის ოჯახური მონობისაგან განთავისუფლების ნამდვილი დასაწყისი.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და სასურსათო კრიზისმა გამოიწვიეს ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოების დროებითი შემცირება. წარმოების მთელი დარგების სახელმწიფოს მომარაგებიდან მოხსნა და მუშა-ხელის აუცილებელი რაოდენობის შემცირება ეს განსაკუთრებით დაეტყო იმ დარგებს, სადაც ქალის შრომა ფართოთ იყო გამოყენებული.

თუმცა უმუშევრობა საერთო მოვლენაა და იგი მოითხოვს მასთან ბრძოლის საერთო ზომებს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ქალის უმუშევრობას აქვს თავისი სპეციფიური მომენტები. ფაბრიკებსა და ქარხნებში შტატების შემცირების დროს, ქალის შრომა თან და თან იდევნება, როგორც არაკვალიფიციური ან ნაკლებ კვალიფიციური, უფრო ნაყოფიერ მამაკაცის შრომის გვერდით. მაგრამ ზოგჯერ მუშა ქალების შემცირება არ არის დამოკიდებული მისი შრომის კვალიფიკაციაზე, არამედ ეს ხდება ქალის შრომის ნაყოფიერებისადმი საერთო უნდობლობისა ნიადაგზე და აგრეთვე იმის გამო, რომ მუშა-მამაკაცებს ყველა დანარჩენ თანასწორ პირობებში, აძლევენ უპირატესობას ქალების წინაშე სამუშაოს უფლებაში.

რამდენადაც პირველი მოვლენა გამოწვეულია წარმოების აღდგენის პერიოდში მომენტის აუცილებლობით, იმდენად მეორე შემთხვევა დაუშვებელია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დროს, რომელმაც პირველ დღესავე განუცხადა მთელ ქვეყანას მუშა-ქალისა თანასწორობისა და თანასწორ ღირებულების შესახებ. ეს მეორე შემთხვევა უნდა იქნას დაგმობილი და მას გაეწიოს ორგანიზაციული წინააღმდეგობა.

ამ საქმეში ქალთა განყოფილებები უნდა გახდენ ცენტრად და ყოველი ძალ-ღონით დაიცვან მშრომელ ქალთა ინტერესები.

ყველაფერ დანარჩენში საერთო უმუშევრობასთან ბრძოლამ უნდა გადალახოს მუშა ქალთა უმუშევრობაც.

საერთო უმუშევრობის გადალახვა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მოვაწესრიგებთ ჩვენს მეურნეობას და როდესაც ავსწევთ ჩვენს წარმოებას.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი ხანგრძლივია და უმუშევრობას ჯერ კიდევ რამოდენიმე ხანს ექნება ადგილი, ამიტომ აუცილებელია ღონისძიებათა გამონახვა ამ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც ასი ათასობით მუშებს და მუშა ქალებს ჰყრის ქუჩაში და განამზადებს მათ ტანჯულ ცხოვრებისათვის.

სახელმწიფოს ძირითადი ღონისძიება არის **შრომის ბაზრის რეგულიაცია.** ეს ზომა მისცემს მთავრობას საშუალებას მოახდინოს სრული აღრიცხვა ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში საჭირო მუშა-ხელისა. აღრიცხვა მისცემს საშუალებას აღმოუჩინონ სამუშევარი ყველაზე უფრო გაჭირვებულ მუშებს.

სახელმწიფოებრივი ხასიათის მეორე ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია პირველთან, არის **უმუშევრობისაგან სახელმწიფოებრივი დარღვევა.**

გარდა ამ ძირითად ღონისძიებათა, პრაქტიკულ ცხოვრებაში შეიძლება ხმარებულ იქნას სხვა ღონისძიებანი, რომელიც შეანელებს უმუშევრობას, როგორც მაგ.: საწარმოვო არტელების ორგანიზაცია. ქალთა განყოფილებებმა ამ ღონისძიებაში უნდა გამოიჩინონ ენერგიის მაქსიმუმი, ინიციატივა და ცოდნა და ყოველივე ღონით შეამსუბუქონ უმუშევართა ხვედრი, მისცენ საშუალება მუშა ქალებს შერჩენ წარმოებას, წარმოების გაფართოებამდე, როდესაც ყველა გამოდევნილები ისევ იქნებიან ჩაბმულნი წარმოებაში, როდესაც მუშა-მამაკაცების და მუშა-ქალების საერთო ძალებით აღდგენილ იქნება ჩვენი მრეწველობა, მაშინ უმუშევრობას ადგილი აღარ ექნება.

ამხანაგო მუშა-ქალებო!

რუსეთში ყოველ წლიურად სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან იხოცებოდა 2 მილიონი ბავშვი და ყოველ წლიურად 2 მილიონი ტანჯულ დედებისა ცხარე ცრემლებით რწყავდა დაკარგულ უმანკო ქმნილებათა უდროვო საფლავებს.

სტატისტიკურად გამონგარიშებულია, რომ რუსეთში ყოველ 100 დაბადებულ ბავშვებიდან ვერ სცოცხლობს ერთ წლამდე 25 ბავშვი ეს იმას ნიშნავს, რომ იღუპება 25 მომავალი მოქალაქე—სახელმწიფოს სასარგებლო მუშაკი და აღმშენებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 დედიდან, რომელთაც გადაიტანეს ორსულობის სიმძიმე და მშობიარობის ტანჯვები,—25 დედა მოკლებულია ბედნიერებას აღზარდოს თავისი ბავშვი და ინუგეშოს თავი მოხუცებულობის ჟამს.

ბავშვთა სიკვდილიანობის ასეთი დიდი რიცხვი არის მხოლოდ რუსეთში. სხვა ქვეყნებში ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია. ნორვეგიაში ყოველ 100 ბავშვიდან იხოცება წლამდე მხოლოდ 7, დანიაში—10, ინგლისში—11, საფრანგეთში—12, გერმანიაში—16 და სხვა. ცნობილია რომ რამდენად კულტურულია ეს თუ ის ქვეყანა, იმდენად ნაკლებია იქ ბავშვთა სიკვდილიანობა. და არც ჩვენში, საბჭოთა ფედერაციაში.

ბავშვთა სიკვდილიანობა ყველგან ერთნაირი არაა. შეძლებულთა ოჯახებში იგი სრულიად უმნიშვნელოა. ყველაზე მეტი ბავშვი იღუპება მუშათა და გლეხთა ოჯახებში.

შესაძლოა თუ არა ბრძოლა ბავშვების სიკვდილიანობასთან, რომელიც არღვევს სახელმწიფოს კეთილ დღეობას.

ეს საკითხი, 30 წელიწადზე მეტი აღელვებდა სოციალ-პოლიტიკოსებს, ბავშვების ექიმებს და მუშათა კლასის წარმომადგენლებს დასავლეთში, რომელიც უკვე დიდი ხნის მოწყობილი იყო, მაშინ როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის ქუსლებ ქვეშ იმყოფებოდა.

დიდი შრომა იყო გაწეული ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზის გამოსაკვლევად, იყო გამომუშავებული ზომები, თუ სრული მისი მოსპობისათვის არა, ყოველ შემთხვევაში მისი შემცირებისათვის.

გამომუშავებულ ყველა ღონისძიებათა შინაარსი შეიძლება გამოითქვას შემდეგი დებულებით.

„დედა, ორსულობის, მშობიარობის დროს, მშობიარობის შემდეგ და ბავშვის აღზრდის პერიოდში, და ბავშვი, განსაკუთრებით ძუძუმწოვარა, მისი ცხოვრების პირველი წლის განმავლობაში, საჭიროებენ დაცვას“.

აქედან წარმოიშვა სახელწოდება „დედობის და ბავშვობის დაცვა“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში წარმოებდა მედგარი ბრძოლა ბავშვთა სიკვდილთან, რუსეთში მხოლოდ ერთეულ, უკეთეს ადამიანებს აინტერესებდათ ეს საკითხი, და ისინი სცდილობდენ ეწარმოებინათ ბრძოლა, რომელიც, რა თქმა უნდა, მათ ძალღონეს აღემატებოდა. ხოლო მეფის ხელისუფლებას ეს საკითხი არ აინტერესებდა. რა ენაღვლებოდა იმას, თუ მოკვდებოდენ მუშების და გლეხების ბავშვები!

და მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რომელიც დიდათ იყო დაინტერესებული იმაში, რომ გადაერჩინა თვისი ბავშვები, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ბედნიერებისათვის აუცილებელი მომავალი მუშაკები—დედობისა და ბავშვობის დაცვა დაყენებული იქმნა სოციალისტურ აღმშენებელთა მორიგ ამოცანათ. ყველგან, სადაც კი დამყარდებოდა საბჭოთა ხელისუფლება, ერთი უპირველესი ღონისძიება მისი იყო დედობის და ბავშვობის დაცვის ქვეგანყოფილებათა ორგანიზაცია.

მაგრამ რაში გამოიხატება პრაქტიკულად დედობის და ბავშვობის დაცვა?

ჩვენ ამაზე უპასუხებთ ჯერ-ჯერობით ზოგადად.

ცნობილია, რომ გადამეტებული ფიზიკური შრომა გავლენას ახდენს ორსულ ქალის ჯანმრთელობაზე და მის მომავალ ბავშვზე, აგრეთვე ცუდ გავლენას ახდენს მუშაობა ისეთ წარმოებაში, სადაც საქმე აქვთ ვერცხლის წყალთან, მიშიაკთან და სხვ. საბჭოთა ხელისუფლებამ იმ წამსვე გამოსცა დეკრეტების მთელი რიგი, რომელიც იცავს ორსულთა და ძუძუმწოვარა ბავშვების აღმზრდელ დედათა შრომას (ყველაზე მნიშვნელოვანია ის რომ მუშა ქალი მშობიარობის 8 კვირის წინ და მშობიარობის 8 კვირის შემდეგ სრულიად განთავისუფლებულია სამუშაოსაგან).

ექიმების დაკვირებამ დაამტკიცა, რომ ის ორსული მუშა-ქალები, რომელთაც ორსულების უკანასკნელი პერიოდი გაატარეს მოსვენებაში და აღასრულეს ჰიგიენის ყველა მოთხოვნილებანი, შობენ 1—1 ნახ. გირვ. უფრო მძიმე ბავშვს, და მაშასადამე უფრო ჯანმთელ ბავშვს, ვიდრე ისინი, ვინც ორსულების უკანასკნელ დღემდე მუშაობდენ. საბჭოთა ხელისუფლება აწყობს დედა მუშა ქალებისათვის თავშესაფარებს „დედათა სახლებს“, სადაც ისინი ატარებენ ორსულების უკანასკნელ პერიოდს და მშობიარობის პირველ ხანას.

ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზი, ჩვენში გარდა ორსულთა გადამეტებული შრომისა, არის უმთავრესად მოუვლელობა და ცუდი კვება.

ამასთან საბრძოლველად იმართება დაწესებულების კონსულტაცია (საბჭო) სადაც დედას ყოველ კვირაში მოჰყავს თავისი ბავშვი. იქ იმას წონიან, სინჯავენ და სპეციალისტი—ექიმი იძლევა რჩევას, როგორ უნდა ასაზრდოვონ ბავშვი და როგორ უნდა მოუარონ. იმ ბავშვთათვის, რომელთაც კუჭის ან ნაწლავების სნეულება აქვთ ან არ ჰყოფნით დედის რძე, მოწყობილია „რძის სამზარეულოები“. სადაც ექიმის ჩვენებით მზადდება სხვა და სხვა მასაზრდოებელი ნარევი.

კონსულტაციისა და „რძის სამზარეულოების“ მნიშვნელობა ძალიან დიდია. იქ, სადაც ასეთები არსებობს ბავშვთა სიკვდილიანობა და ავადმყოფობა თვალსაჩინოდ კლებულობს.

რამდენი დაიღუპა ჩვენში მოზრდილი ბავშვებიც, რომელნიც რჩებიან მოუვლელად, როცა დედა მიდის სამუშაოზე. ასეთ ბავშვებისათვის იმართება „ბაგები“, სადაც ბავშვები გამოცდილ პერსონალის ზედამხედველობით იმყოფებიან მთელი დღე, იქ იმათ ბანენ, აჭმევენ, ზრდიან. ამ დაწესებულებათა მნიშვნელობა ყოველი დედისათვის მოსაგებია. ისინი იცავენ ბავშვების ჯანმრთელობას, ნებას აძლევენ დედებს გულდამშვიდებით წავიდენ სამუშაოზე, კრებებზე და სხვა.

რა თქმა უნდა, დედობის და ბავშობის დაცვის ყველა დაწესებულებები არ ჩამოგვითვლია და რაც დავსახეთ, ძალიან მოკლედაც ავწერეთ.

საბჭოთა სოციალისტურ რუსეთში და უკრაინაში, დედობისა და ბავშვობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობამ შეამცირა ბავშვთა სიკვდილიანობა, დაუბრუნა ათიულ და ასეულ დედებს მათი ბავშვები.

იგივე უნდა გაკეთდეს საქართველოშიაც.

მაგრამ ამისათვის საჭიროა ამხანაგებო; თქვენი უშუალო მონაწილეობა.

გახსოვდეთ, რომ მუშების ჯანმრთელობა არის საქმე თვით მუშებისა.

ამხ. მუშა ქალები, საბჭოთა მუშაკ-ქალებით და თქვენ, პატიოსანო მოქალაქე დედებო, თქვენ მგრძნობიარე გულს მივმართავთ ჩვენ.

მოჰკიდეთ ხელი თქვენი ბავშვობის დაცვას, მოაწყეთ ბაგები ფაბრიკებსა და ქარხნებში, მჭიდროთ შემოკრიბეთ ქალთა განყოფილების გარშემო, რომელიც დახმარებას გიწევთ თქვენ დედობის და ბავშვთა დაცვის დიად საქმეში.

ბავშვები—ქვეყნის ყვავილებია, მათი ჯანმრთელობა არის საწინდარი მთელი კაცობრიობის ბედნიერებისა.

ალდმულეხი.

თბილისის ქალაქის უპარტიო ქალთა მესამე კონფერენცია

ა. წ. 11 ივნისს პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნა ქალაქის უპარტიო ქალთა მესამე კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 400-ზე მეტი ქალ. თბილისის მუშა-ქალები. კონფერენციის გახსნის წინ თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის ამხ. გასვიანის წინადადებით კონფერენციამ პატივი სცა უდროოდ დაღუპულ, თავისუფლებისათვის მებრძოლს ამხ. აკოფიანს, დაესწრო რა მის დაკრძალვას კონფერენციის სახელით ამხ. ფლორა ვარდანიანმა გამოსთქვა მწუხარება და დაახასიათა ამხ. ნ. აკოფიანის მოღვაწეობა.

11 საათზე და 30 წუთზე კონფერენცია გახსნა ამხ. გასვიანმა და წინადადება მისცა აერჩიათ კონფერენციის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმი არჩეულ იქნა 9 ქალის შემადგენლობით, რომელშიაც შევიდნენ: რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მოიროვა, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ცეიტლინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტების ქალთა განყოფილების გამგე ამხ. გასვიანი, 5 წარმომადგენელი რაიონებიდან და წარმომადგენლები სამხედრო ორგანიზაციებიდან. მდივნებად არჩეულ იქნენ: ამხ. მინასიანი და კამალოვისა.

დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: მოხსენება მიმდინარე მომენტზე. ამხ. კახიანისა, ამიერ-კავკასიის ყრილობის შედეგები—ამხ. ცეიტლინი, და დედაკაცი წარსულში, აწმყოში და მომავალში—ამხ. მაიროვა. ყველა მოხსენებები გააკეთეს რუსულ და ქართულ ენებზე. მოხსენებები დიდის ყურადღებით და ინტერესით იქნა მოსმენილი და გამოიწვია საქმიანი ხასიათის შეკითხვების მთელი რიგი. განსაკუთრებული სიცხოველე დაბადა ამხ. მაიროვის მოხსენებამ, როგორც უფრო მახლობელმა და გასაგებმა ქალთა მასისათვის. ყველა მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელნიც გვიმტკიცებდენ მშრომელთა სიმპატიას და თანაგრძნობას საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტურ პარტიისადმი, რომელსაც მუშა ქალები სთვლიან თავიანთ ინტერესების ერთად ერთ დამცველებად და ჩაგვრა-მონობისაგან განმათავისუფლებლად. ამხ. კახიანის მოხსენების შესახებ გამოტანილ რეზოლიუციის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ესერების გასამართლების საკითხს და მენშევიკების პროვოკაციას საქართველოში, ქ. თბილისის მუშა-ქალები მოითხოვენ დაუზოგველ დასჯას მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლთა ვერაგ მკვლელებისას და უთვლიან შერცხვენას და ზიზღს ლაქიებს და მუშათა კლასის გამცემლებ—ქართველ მენშევიკებს და მათ თანამოძმეთ. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ საქართველოს მშრომლებმა სავსებით დააფასეს სოციალ-შემთანხმებელთა გამცემლობა და ვერაგობა. და რომ ბატონი მენშევიკები თვით წამოეგენ იმ ვერხვის სარებზე, რომელზედაც მათ 26 მაისს გამოკიდეს შავი დროშა დეზერტირკაზე. ამხ. მაიროვის და ცეიტლინის მოხსენებების შესახებ მუშა-ქალებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ისინი ქალთა და მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების იმედს ამყარებენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაზე და კომუნისტურ პარტიაზე. ნიშნათ საქართველოს მშრომელთა და რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობის სოლიდარობისა კონფერენციამ რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენელს ამხ. მოიროვას მიუძღვნა ყვავილების თაიგული მქუხარე ოვაციებით, რომელიც რამოდენიმე წუთს გაგრძელდა. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ შოვინიზმის შხამი, მენშევიკების მიერ საქართველოს პროლეტარიატის რიგებში შეტანილი განხეთქილება, დავიწყებულია, საქართველოს პროლეტარიატი ხელ-ახლა დაადგა რევოლიუციონურ ბრძოლის გზას იმ საერთაშორისო პროლეტარიატის რიგებში, რომელიც იბრძვის მთელ ქვეყნის განთავისუფლებისათვის კაპიტალის მონობისაგან.

კონფერენცია იხურება ინტერნაციონალის მღერით.

ლ. კამალოვისა.

პატარა ფელეტონი

26 მაისის „გამოსვლების“ გამო

ვით რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ სოციალ-დემოკრატები, სინდიკალისტები, ფედერალისტები, ესსერები. შეჰკრეს ბლოკი კომუნისტების წინა ღმდეგ გასალაშქრებლათ. ორი თვის წინეთ მენშევიკი ახტა-დახტა, მივიდა ფედერალისტთან და უთხრა: „ძმაო, რაკი ჩვენ ლიდერებს რადიოთი შევატყობინეთ ორი თვით ადრე საზღვარ გარეთ რომ საქართველოში ხალხი კომუნისტების წინააღმდეგ აჯანყებულია, მთელი საქართველო სისხლში სცურავს და არმიელებისაგან შევიწროებულია—ეს რომ მთლათ სიცრუე არ გამოდგეს და ნდობა არ დაგვეკარგოს ჩვენ მეგობრებ უცხოელ „ბურჟუებში“, დღეს მაინც მოვაწყოთ გამოსვლები. იქნებ ამით ხელი შეუწყოთ ჩვენი გაქცეული ლიდერების ისევ სამშობლოში დაბრუნებას. ფედერალისტები სრულებით არ დაფიქრდენ, თანხმობა გამოუცხადეს და ერთათ გაუდგენ გზასა. ბევრი იხტუნეს თუ ცოტა—მივიდნენ სინდიკალისტ ალიოშასთან და უთხრეს: ალიოშა, მოდი შევკრათ ბლოკი, ბლოკი მოგვცემს აჯანყებასა, აჯანყება მოგვცემს ხალხსა, ხალხი მოგვცემს მუშებსა, მუშები გამოგვიცხადებენ ნდობასა, შევქმნით შუღლსა მტრობასა, მით ვიხსნით ჩვენს საყვარელს სამშობლოს და აღვადგენთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა. ალიოშამ გამოუცხადა თანხმობა და გაუდგენ გზასა. ახტენ, დახტენ, მივიდნენ ესსერებთან და უთხრენ: „ესსერებო, მოდით ჩვენთან, ჩვენ წავალთ სოფლათ გლეხებთან, შევპირდებით მიწას, მიწა მოგვცემს გლეხობასა, გლეხობა ასტეხს ბრძოლას, ბრძოლაში დაიღვრება სისხლი, სისხლი მოგვცემს მკვდრებსა, მით ავაფრიალებთ შავ ბაირაღებს და ქვეყანას ვაცნობთ, რომ მუშურ-გლეხურ საქართველოში არის აჯანყება კომუნისტების წინააღმდეგ, ასეთი მდგომარეობის შექმნა მოგვცემს მასალასა, დავგრეხთ ჭორის ბაწარასა, გადუგდებთ და ამოვიყვანთ დარდანელის სრუტეში გაკვეხებულ ჩვენს ლიდ რებს მენშევიკებს, მენშევიკები დ კრავენ ბუკსა და ნაღარასა, ნაღარ ხმაზე შეგროვდება ბურჟუაზია, ბ რჟუაზია მოგვცემს პურსა, ხალ ამოხდის სულსა, და ამ გვარათ ჩვე გავხდებით ბატონ-პატრონი ჩვენ საყვარელი სამშობლოსა, საიდანაც ს სწრაფოთ ავიარგავთ რუსსა, სომეხს და წითელ-არმიელსა. ესერებმა უთხრეს: თქვენ რომ ჩვენთვის მიწის საკითხი დაგენებებიათო! მენშევიკებ შეპირდნენ. ასე შეიკრა ბლოკი დ შეუდგენ სადღესასწაულო მზადებ 26 მაისისათვის.

აფრინეს თავიანთი წარმომადგენ ლები ქალაქებში და სოფლებში, რო მოეწოდებიათ თავიანთი დიდი ჯარ და მათ მთელი ქვეყნიერობისთვი ემცნოთ კომუნისტების უძლურებ თვითონ კი შევიდნენ მთავარ სახ ლოსნოში, დეპოში, ვაგონთა პარკში ტრამვაის მუშებში, ფაბრიკა-ქარხნე ბში და სახელითა ღვთისათა ეკლე სისა და ღვდლისათა, მოუწოდე მუშებს სამშობლოს დასაცველათ. ნიშნათ დასდვეს ზარის რეკა, რომლი ხმაზედ ყოველ მუშას უნდა მიეტოვე ბია მუშაობა და დემონსტრატიულა შეგროვებულიყვნენ ეგრეთ წოდებულ „ძმათა სასაფლაოზე“, გამოსვლებ დაიწყო 24 მაისიდან და გაგრძელდ 26 მაისამდი. ზარის რეკა ვერ მოხე რხდა მაგრამ მაინც შეგროვდა სამ სპეკულიანტი ორი ძველი ჩინოვნიკი ღვდელი და დიაკვანი, მოწაფე ბავშვები, გიმნაზისტები, გიმნაზისტკებ რევოლიუციონერობა ემჩნეოდათ რა დგანაც ილიამდე დაეკარწახებიათ სახელოები. უცდიან მუშებს, გაშალე შავი ფლაგი.....

მუშები კი თავიანთ მუშაობას განაგრძობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და სახელოსნოებში გულდამშვიდებულ და არავითარ პროვოკაციას ყურადღებას არ აქცევდენ ასე და ამ გვარათ დარჩენ ჩვენი ბლოკისტები პირში ჩალა გამოვლებული.

ლოლა.

საძირკველი ჩაყრილია

რკინის გზის საავადმყოფოსთან მოწყობილია საბავშო ბაგები 20 ბავშვისათვის. ისინი მოწყობილია საერთო ღონისძიებით: საშუალებებს იძლევა რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება, მანუფაქტურა მოგვცა რკინის გზელთა პროფესიონალურმა კავშირმა, ხოლო მთელი მუშაობა მოწყობისათვის ჩატარდა თვით მომუშავე ქალების დახმარებით. მოაწყვეს ორი კვირაობა, შეკრეს ბავშვების საცვლები, წესრიგში მოიყვანეს შენობა და ოთახი უკვე მზათ არის ბავშვების პატარა საწოლებით.

ეხლა უკვე მუშა ქალებს თავისუფლად შეუძლიან მიიყვანონ თავიანთ პატარები მუშაობის დროს და იქვ მიიღონ დარიგება, თუ როგორ მოუარონ ბავშვებს, როგორ დაიცვა ისინი ავადმყოფობისაგან და სხვა.

საჭიროა მხოლოდ ფართოდ გავაცნოთ მუშა ქალი დედობის და ბავშვობის დაცვას, რომ მას არ ეშინოდეს თავისი ბავშვის ბაგებში მიყვანის და ისმენდეს ექიმების დარიგებას.

მუშა ქალი.

ქრონიკა

◆ თბილისის კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობით დაარსდა ქ. თბილისში ორი არტელი. პირველი 30 ქალისაგან შემდგარი, რომელიც აწარმოებს ახალ ტომრების კერვას და ძველების შეკეთებას სახალხო კომისარიატის და მუშათა მთლიან კოოპერატივის საჭიროებისათვის. ზემოაღნიშნული არტელი მუშაობს უკვე ორი თვეა. მეორე „კალათების საწნავი“ არტელი შესდგება 35 ქალისაგან. ყავს გამოცდილი ხელმძღვანელი კალათების გარდა აკეთებენ ფეხსაცმელს და სკამების ძირებს. ყველა ზემო აღნიშნულ საგნების შეკვეთა მიიღება კერძო პირისგანაც.

◆ გარდაცვალებულ ნინა მეგრელიშვილის სახსოვრათ ამხ. სერგო მეგრელიშვილმა ოზურგეთის მაზრის ქალთა განყოფილებას შესწირა საკერავი მაშინა პროფესიონალურ სასწავლებლის მოსახმარებლად. რისთვისაც საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილება უძღვნის გულითად მადლობას.

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.